№ 2773
ხუთშაბათი,
17 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2773
ხუთშაბათი,
17 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში ადგილებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანკის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთი“-ს

ამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1905 წ. 25 მარტს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე, ბადლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 28 თებერვალს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი. კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1904—1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ღვინის დაფასების ზოგიერთი მუხლის შეცვლა; მოხსენება განყოფილებების შესახებ; თავ. არ. დ. ჭავჭავაძის წინადადება შესახებ წესდების შეცვლისა; მოხსენება შესახებ საქმის გაუმჯობესებისა; 4 სარევიზიო წევრის, ერთი გამგეობის წევრისა, კანდიდატისა და ერთი მიმღებ კომიტეტის წევრის არჩევანი. (3—6—3)

ხონის საურთიერთო კრედიტის
საზოგადოების გამგეობა

ჩვეულებრივი კრება არის დანიშნული ამა წლის 20 მარტს, განსახილველი საგნები: 1, განხილვა და დამტკიცება 1904 წ. ანგარიშისა. 2, ხარჯთ-აღრიცხვა 1905 წლისა. 3, არჩევა ერთის გამგეობისა, ორის რჩევისა და სამი სარევიზიო კომისის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (2—2)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ხუთშაბათს, 17 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი კავკასიური ჭიდაობა. განთქმული ფალავანი ჯიბგირი დაეჭიდება ცნობილ ფალავანს პომაზაშვილს. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. ცნობილი ჰერკულესი რომო დაეჭიდება განთქმულ ფალავანს ბოჩაშვილს. გამარჯვებულს 25 მ. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. (1—1)

რაც-კი ახალია ამ სეზონში
მოსდის

ყოველ კვირა ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის შეკერილ ტანისამოსის კავკასიის პირველ ამხანაგობის საქარხნო დეპოს, ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ბ-ნთ ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მუშტარს შეიძინონ ჩვენ ქარხანასა და სახელოსნოებში ინგლისის და საფრანგეთის სამოდო ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონების ქალთა ზედა ტანისამოსი, კაცთა და ბავშვთა კოსტუმები და პალტოები ყოველგვარ მატერიისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთ ქარხნებზე დამზადებული. ფასი სულ მცირეა.
შეუვაჭრებლად (3—1)

საარტისტო საზოგადოების დარბაზში
ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება
კონცერტი

ქართული საფილარმონიო საზოგადოების თანხის სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: ქნ. სოფ. დ. დიასამიძისა, ქნ. ბარ. მ. ამირაჯიბისა, ქნ. ან. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ბ. ტ. ზაგიუ. ბ-ნნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირიმანიძე, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ალ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით. ბილეთების ფასი 5 მანეთიდან 70 კ., მოსწავლეთათვის 45 კ.
დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.
ბილეთები იყიდება საარტისტო საზოგადოების კასსაში
პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯ. ი. ა. სუმბათაშვილი.

ტფილისის სამოქალაქო სასწავლებლები: 1-ი (ვერის ოთხ-კლასიანი), მე-2 (რკინის გზის ექვს-კლასიანი) და მე-3 (ნიკოლოოზისა), სთხოვენ მეოთხე განყოფილების მოსწავლეთა მშობლებს, მობრძანდნენ სასწავლებელში 17 მარტს, —მე-5 განყოფილების (კლასი)—18-ს და მე-6 განყოფილების (კლასი)—19 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, რათა შეიმუშავონ ზომები სწავლის განგრძობის შესახებ ამ სასწავლებელში. (3—105—3)

სასტოლრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემოკვეთას ყოველნაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების დაბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—1(

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი“

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაკზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი აა ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბ.—7)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე მსწრაფლ, კარგათ და დროზე მზადდება. ფასები ძალიან ზომიერია. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—24)

აბრეშუმის თესლი თეთრი ნამდვილი ბაღდადის ჯიშის შ. პ. ლახვარიძის ფირმის, ტფილისის საბრეშუმო სადგურის ბარაღრაფით და უამისოთაც. იყიდება ტფილისში ჯ. ვ. კრასნიანსკის კანტორაში, რიაბინინის ქ. № 8. (5—89—5)

ნამდვილი ცელულიარული
✦ თესლი აბრეშუმისა ✦
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. პ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში ძმ. პახკალიდებისა აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩვენგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰყავართ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 კრამოვის სახლი. (30—429—17)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:
მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ა. ა. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ს. მუღნიძე.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაპაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
მ. მ. მაჭავარიანი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
ლ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქ. ძალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. [illegible].—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:
ხ. ი. ჯაფარიძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 B.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—408—86)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკლესიის პირდაპირ ტელეფ. 729. (30—91—10)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოისა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—37)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—22)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
15 მარტი.

ტოკიო. მუკდენსა და კაიუანს შორის ხიდები გაასწორეს. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. გაასწორეს გზები ლიაოიანმუკდენს შორის და მიმოსვლა დაიწყო. შახეზე ხიდს ასწორებენ. იაპონიის ჯარები წინ იღაშქრებენ.—რუსებს დაქირავებული ჰყავდათ 200 კაცი ჩინელ ირრეგულიარულ (დროებით) კავალერიისა და თვითეული 30 იენს იღებდა თვეში; მათ 200 კაზაკთან ერთად იერიში მიიტანეს იაპონელებზე ტაშიცაოს ახლო-მახლო უკანასკნელ ბრძოლის დროს; ცოტა ხანს კი იბრძოლეს და შემდეგ ჩინელებმა უკან დახევა იწყეს; ამან კაზაკები ააშფოთა და მათ რამდენიმე ჩინელი მოჰკლეს თოფით. პორტ-არტურში წაყვანილ 2000 ცხენში ყველაზე უკეთესი 12 ცხენი მიკადოს გაუგზავნეს.

ჰამბურგი. დღეს მიდის ლიბავისაკენ რუსებისაგან დაქირავებული გემი „ანდრია“.

შანხაი. როგორც ეტყობა, იაპონიისა და რუსის არმიებს განზრახვა აქვთ დაიჭირონ ახალი პოზიციები სუნგარის ორივე ნაპირებზე.

ტოკიო. ფუშუნისა და იანტაის მაღაროებს დიდი სარგებლობა მოაქვთ იაპონელთათვის. იაპონიის ესკადრის მეზღვაურებმა გენზანთან რუსის ასი ნაღმი ამოიღეს.

პეტერბურგი. სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენ.-ლეიტენანტ მედინსკის ებოძა კავალერიის გენერლობა და დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

ბერლინი. ბიულოვის შემდეგ რეიხსტაგში ილაპარაკა გაჭრობის მინისტრმა მელლერმა. ორივე სცდილობდნენ დაემტკიცებინათ მუშების წარმომადგენლების საჭიროება. ბიულოვმა სთქვა: „თუ მრეწველები დაუბრკოლებლად აარსებენ სინდიკატებსა და არტელებს, მუშებსაც უნდა მიეცეს ნება გაფიცვისა“, [illegible], როცა მუშები [illegible] ლები [illegible] მთავრობა.

ასხაბა... გუდნიდან დეპეშით იუწყებიან, კოჩანში ხანები აუჯანყდნენ სერდარს, გარსშემოერტყნენ მის სასახლეს და ითხოვდნენ, დაგვნებდიო. სიძულვილი სერდარისადმი გამოიწვია მისმა მეტის მეტმა შევიწროვებამ და გადასახადებმა. ბაქოდან მოვიდნენ მაჰმადიანები და აჯანყებენ მუსულმანებს ქრისტიანების წინააღმდეგ. კოჩანის მუშტეიდმა აცნობა ქრისტიანებს, მოსალოდნელია 10 მარტს თქვენი ჟლეტა-ხოცვაო და გაიხიზნენით აქედანაო. ქრისტიანები კასპიის იქითა მხარეს წავიდნენ წინა დღით. მეშხედში ღელვა ჩაქრა.

მოსკოვი. ნაფიც ვექილთა თანაშემწეებმა გადასწყვიტეს რეფორმების ძედა ბოძს მუშების და გლეხების ბედ-იღბლის განკარგვება შეადგენსო. კრებას ლეონიდ ანდრეევი დაესწრო. მას ტაშის ცემით მიეგებნენ.

ლონდონი. პარლამენტს შეეკითხნენ არტილერიის შესახებ; ამ შეკითხვამ შემდეგი წერილი გამოიწვია ინდოეთის არმიის ათეცრისა. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენი საქმე ბეწვის ხიდზეა; ჩვენს არტილერისტებს გაანადგურებენ ისე, რომ ერთხელაც ვერ გაისვრიან. ისეთი ზარბაზნები, რომელნიც თითო წუთში 5 ყუმბარას ისვრიან 5000 მეტრის მანძილზე, ვერ გაეჯიბრებიან ისეთებს, რომელნიც 7000 მეტრზე ისვრიანო“.

ათინა. აქ პესიმისტურათ უცქერიან კრიტოსის სურვილს საბერძნეთთან შეერთების შესახებ. მთავრობამ ურჩია ხალხის წარმომადგენლებს, ზომიერათ მოიქეცით და ძალადობას ნუ მიჰმართავთო.

ნიუ-იორკი. დამნაშავედ იცნეს ჰესლეროთი, რომელმაც ამ რამდენისამე თვის წინად ყუმბარა გაგზავნა ინგლისის გემ „უმბრია“-ზე. როსთი განაცხადა, ყუმბარა უვნებელი იყო და მე მსურდა ინგლისი დამეფარა იმ შიშისაგან, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერებას მოჰყვება ხოლმეო.

16 მარტი.

პეტერბურგი. 15 მარტის სხდომაზე მინისტრთა კომიტეტი შეუდგა იმ გამსაზღვრელ დადგენილებათა განხილვას, რომელნიც უმაღლესს ბრძანების მე-7 პუნქტშია ნახსენები და რომელნიც პოლონეთში მიწის მფლობელობასა და პოლონელთა დასავლეთის 9 გუბერნიებში სამსახურში მიღებას შეეხებიან. მინისტრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია მოესპოს ძალა ხსენებულ დადგენილებებს. თათბირს შემდეგ სამშაბათს დაასრულებენ ამ საგნის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგას გაღმა საზამთროდ დაბინავებულ ქარვანს სანავთო ბარჟას ცეცხლი წაეკიდა; სალამოს აქვს საათიდან 25 ბარჟაზე და სამ გემზე მეტი დაიწვა. ცეცხლი მეზობელ ქარავანსაც ემუქრება.

ვარშავა. ობერ-პოლიცმეისტერი კეთილდება.

ბაქო. მანთაშევის ნავთის მადნებში ბიბიეიბათზე ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა სამი კოშკი. ნავთი მეზობელ მადან „ოლეუმ“-საც მოედო; იქაც სამი კოშკი დაიწვა.

ყარსი. მარტის გასვლს ამერიკისაკენ 200 მოლოკანი მიდის ყარსის ოლქიდან და ერევნის გუბერნიიდან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
15 მარტი.

მარსელი. მადაგასკარიდან მოვიდა გემი „მელბურნი“ და მოიყვანა 28 ავადმყოფი მატროსი როჟესტვენსკის ესკადრიდან. გზაში ორი კაცი მომკვდარა.

ლონდონი. ჩვენმა კორესპონდენტმა გაიგო, იაპონიის საელჩო იმ აზრისაა, რომ იაპონია გადაახდევინებს რუსეთს სამხედრო კონტრიბუციას და მთელ თავის ძალ-ღონეს ვლადივოსტოკის აღებას მიაქცევს, რათა გააძლიეროს თავისი ავტორიტეტი რუსეთის მიწა-წყლის დაჭერით.

პეკინი. რუსეთის ელჩს მძიმე ოპერაცია გაუკეთეს აქაურმა ექიმებმა. მოსჭრეს ფეხი. ოპერაციამ კარგათ ჩაიარა.

ბერლინი. პრუსიის დეპუტატთა პალატაში ბიულოვი ამტკიცებდა, რომ მთის მუშების კანონიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ გამოგვადგებაო. ამიტომ გთხოვთ მივიღოთ კანონი სამთო სამრეწველოების შესახებ და ამით დავუმტკიცოთ მთებში მომუშავეებს, რომ ისინი, დაიმედებული კანონმდებლობაზე, არ მოსტყუვდნენ გაფიცვის შეწყვეტაშიო.

პარიზი. „მატენ“-ი, ჩაგონებული, როგორც ეტყობა, გარეშე საქმეების სამინისტროსაგან, აცხადებს, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება მაროკოს შესახებ გერმანიას ხელის-მოწერამდე ეუწყაო. დელკასეს არა ერთხელ უთქვამს, რომ ხელშეკრულობა არ აწყობს გერმანიის ინტერესებსო. გაზეთს ჰგონია, გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას არ აქვს პოლიტიკური ხასიათი. საფრანგეთს დიდი ხანია წინასწარი ცნობა ჰქონდა ვილჰელმის მოგზაურობაზე.

ასხაბადი. ოლქის უფროსმა შეიფარა 23 რუსი და სომეხი, გამოქცეულნი ჭუჩანიდან მუსულმანების ხელთაგან. ქონება მიაგდეს, სავაჭრო კანტორები მიატოვეს. არავინ არ მოუკლავთ. რუსებს წინდაწინ შეატყობინეს.—ამბობენ ბრბოს ბაქოდან ჩამოსული მუსულმანება ახელებენ ქრისტიანების წინააღმდეგო. ხალხი აჯანყებულია აგრეთვე კუტაისის ხანის წინააღმდეგ; უკანასკნელს ალყა შემოარტყეს მის სასახლეში.

რიგა, 15 მარტი. ლიფლიანდიის გუბერნიაში გამოცხადდა გაძლიერებულ დაცვის დებულება.

მიტავა, 15 მარტი. კურლიანდიაში შემოიღეს გაძლიერებულ დაცვის დებულება.

მადრიდი, (ჰავასი). გაზეთების უმეტესი ნაწილი ჰფიქრობს, ისპანია სარგებლობას მიიღებს მაროკოში შესვლით საფრანგეთის დახმარებიდანო.

მადრიდი. (ჰავასი). დიპლომატიურ წრეებს ეშინიანთ, ვილჰელმის ტანჟერში მისვლა შეაჩერებს ისპანიის მაროკოში შესვლას, რომელსაც მიზნათ ესპანიელ მუშებისთვის სამუშაოს შოვნა აქვსო.

სამარა. გაფიცულებმა ითათბირეს და გადასწყვიტეს, შემოიღონ 12 საათი სამუშაო დრო ნოქრებისთვის, მიეცეს ერთნახევარი საათი სადილის დროს, ორი კვირით შინ წასვლის ნება და სამი თვის ჯამაგირი მიეცეს ავადმყოფს, რომელსაც სამი წელი უმსახურნია.

ეკატერინოსლავი. ადგილობრივ ქარხნებში, ბადოევსკის გარდა, პარაკლისი გადაიხადეს აღებთან შეთანხმების გამო. მუშებს გაუმასპინძლდნენ. ქარხნებში მუშაობა დაიწყეს.

კალუგა, 15 მარტი. გაიხსნა თათბირი საგლეხო კანონმდებლობის საბჭოთათ მოწყობის შესახებ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა. ორი დღეა გენ. ლინევიჩის დეპეშა არ გამოუცხადებიათ... ტოკიოდან იუწყებიან: ხმა დადის რუსებმა ჩანჩუნი (კუანჩენძი) მიატოვეს, რადგან საკვები სურსათი გამოელიათო. რუსები გირინიდანაც იხევენო. აქ ლაპარაკი რუსის უმთავრეს ჯარზე იქნება. უკანა ჯარი უფრო სამხრეთით დგას.

„ეკო დე პარი“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: რუსის არმია ჩრდილოეთისაკენ დახევას განაგრძობს. ამ ჟამად რუსები კუანჩენძისთან დგანან, ტელინიდან 170 ვერსტზე ჩრდილოეთით და ხარბინიდან 220 ვერსტზე სამხრეთით. აქედან რუსებს მთელი გირინის მდიდარი პროვინცია უჭირავთ ხელთა მაგრამ გენ. კავამურას არმია გირინისაკენ მიდის და რუსები იძულებულნი იქნებიან, ეს ადგილებიც მიატოვონ. მაშინ რუსებს აღმოსავლეთ ციმბირიდან მოუხდებათ საკვებ სურსათის ზიდვა და ეს გარემოება ძლიერ დააგვიანებს ახალ ჯარის ჩაყვანას. რუსები უკან იხევენ, იაპონელებიც განუწყვეტლივ სდევნიან.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: რუსის ჯარი უკან დახევას განაგრძობს; იაპონიის არმიას, რომელიც რუსებს სდევნის, წინანდებურად გენ. კუროკი უფროსობს. ტელინის ძლიერ პოზიციის აღებამ მეტად გაამხნევა იაპონელები. რუსები მთიან, უნაყოფო, ღარიბ ადგილებში დიდ გაჭირვებას ითმენენ. სურსათის შოვნა ისე უჭირდება რუსის ჯარს, რომ ზოგან რუსები ცხენებსა ჰხოცავენ. ყოველ დღე ხდება შეტაკება; უკანასკნელ 10 დღეში საკმაოდ ბევრი რუსი დაატყვევეს იაპონელებმა. („ნ.“).

რუსის ჯარი. „რუსკი ინვალიდ“-ს კორესპონდენტი კრასნოვი 5 თებერვალს გამოგზავნილ კორესპონდენციაში, სხვათა შორის, სწერს: რუსეთი ბეჯითად თხოულობს გამარჯვებას. რუსეთი არა ჰკითხულობს, არ დასდევს პლანსა, გარემოებას, თითონ ხომ არ იყინება და არა კვდება მანჯურიაში. რუსეთს მსხვერპლი არა ჰსურს და ზიზღით უფრუტუნებს იაპონიას. ჩვენი ჯარი უსწავლელია, გაუწრთვნელი. რუსის სალდათები შტურმზე ჯგუფ-ჯგუფად მიდიან და არა ფარულათ და ცოცვით. ჩვენი კავალერია ქვევითა ჯარზე ჩქარა ვერ დადის; ცხენოსან რაზმების უფროსებს ჩხუბი მოსდით იმაზე, ხაიჩენის ხიდი ვინ ააფეთქოსო და ხიდი აუფეთქებელი დარჩა. რუსეთი კი გამარჯვებასა თხოულობს. ჯერ უნდა გავწრთვნათ, მოვაწყოთ ჯარი და მერე წინ გავემართნეთო...

ჯარის კაცებს ასე ასწერს კორესპონდენტი: სათადარიგო ჯარის-კაცები მოვიდნენ, დაწესებული ბარგი და ნივთები ჩაიბარეს, ზედ აიკიდეს და თავიანთ პოლკის პოზიციაზე მილასლასებენ. რა გინდათ, რომ ზედ არ ეკიდოთ. ფაფახი-ქუდი გამხდარ სახეზე ჩამოჰფაფხვია; ტანთ მუნდირი, ტყავი და შინელი აცვია; შინელს ზემოდ ჩინური ბამბის ხალათი; ხალათს ზემოდ ჰკიდია კარავი და უზარმაზარი ნაბდის ფეხსაცმელი. ამას გარდა ჰკიდია ორი გაჭედილი ტომარა, პატრონტაშები და თოფი. ეს აქლემებია და არა სალდათები. დაღონებული, დაფიქრებული დაღვრემილნი მიდიან. საომრად უხალისოდ წამოსულან, დისციპლინას გადაჩვეულნი არიან; სულ არ ესმისთ, რისთვისაა ეს ომი. სალდათები მიდიან და მილაპარაკობენ:

— თავისი ხელმწიფე ჰყავს ჩინეთს, თუ ჩვენის ხელმწიფისაა?

— თავისი? მაშ რისათვის ვომობთ?

— რა ვიცი, ალბად, საჭიროა.

შედეგი ყველა ამისი—მუკდენთან დამარცხება იყო. („რ.“).

ზავი და რუსეთის კრედიტი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ პარიზიდან: ამ ჟამად იაპონიას ზავის ჩამოგდება სულაც არ ეშურება. რუსეთის არმია ეხლა მხოლოდ სახელით-ღა არსებობს. იაპონიის ჯარი 1½ თვეზე ხარბინ-ვლადივოსტოკის გზამდე მივა, ალყას შემოარტყამს ვლადივოსტოკს და თან-და-თან მოუმატებს თავის მოთხოვნილებასა. დიდ განსაცდელშია რუსეთი, მაგრამ უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდება, როცა იაპონელები ვლადივოსტოკს აიღებენ და ომი ჩინეთის სამფლობელოსათვის-კი არა, რუსეთის სამფლობელოსათვის დაიწყება... იქნება რუსეთი ამ განსაცდელიდან მხოლოდ ფულის უქონლობამ გამოიყვანოს. თუმცა რუსეთმა საფრანგეთში გარეშე სესხი გამოსცა, მაგრამ ამ სესხის განაღდება განუსაზღვრელ ვადით გადაიდო და პარიზელი ფინანსისტები ჯერჯერობით ორჭოფად იქცევიან. იქნება ბანკები დაჰხარბებოდნენ დიდ სარგებელს, მაგრამ საზოგადოება სესხის წინააღმდეგია. გაზ. „რევიუ“ და პროვინციალური გაზეთები მკაცრ წერილებსა ჰბეჭდენ რუსეთის სესხის წინააღმდეგ. სარწმუნოდ გავიგეთ, რომ უკანასკნელ დღეებში ბევრმა გავლენიანმა დეპუტატმა პირველ-მინისტრ რუვიესთან ერთად მოილაპარაკეს, რუსეთის სესხი დიდ საფრთხეში ჩააგდებს საფრანგეთსაო. რუვიეს მთავრობა ეცდება განსაცდელი ააცილოს თავიდან საფრანგეთს და შეიძლება რუსეთმა ომის განსაგრძობად ფულ ველარ იშოვოს და იაპონიასთან შერიგებას ეცადოს, თუ, რასაკვირველია, სხვა სახიფათო ფინანსიურ საქმეებს არ გამოუდგება. („ნ.“

ფრანგული გაზეთი „რევიუ“ სწერს: საფრანგეთი ამ ჟამად იმ საცოლის ყოფაშია, რომელმაც ჯვარის-წერამდე ჩააბარა მზითევი თავის საქმროს. ჩვენ რუსეთს 14—15 მილიარდი ფრანკი ვასესხეთ და რუსეთის კრედიტი განსაცდელისაგან დავიხსენით. ომის წინად რუსეთის კურსი $101\frac{1}{2}$ იყო; ეხლა, საშინელ დამარცხების შემდეგ, რუსეთის 4 პროცენტიან რენტის კურსი პარიზში ჩვენის ბანკირების მეოხებით 88. რუსეთმა ჩაყლაპა საფრანგეთის მილიარდები, მაგრამ რუსეთი გაუმაძღარია და აი ეხლა ჩვენმა ბანკებმა კიდევ უნდა ჩაუდვან ხახაში ოქრო, რომ რუსეთმა ომის გაგრძელება შეიძლოს. ეს ომი რუსეთის დაღუპვით და განაწილებით გათავდება, ამიტომ განა საფრანგეთი მოვალე არაა, თავისი მოკავშირე ასეთ ჯიუტობას, თითქმის თავის მოკვლას გადაარჩინოს. ფული რომ აღარ ვასესხოთ, რუსეთი სხვაგანაც ვერ იშოვის და იძულებული იქმნება, იაპონიას შეურიგდეს. თუ ზავს ეხლავე ჩამოაგდებენ, რუსეთი თხუთმეტიოდე წელიწადში გაასწორებს თავის საქმეებს და ჩვენ ძველ ვალსაც დაგვიბრუნებს; თუ ომს განაგრძობს, მაშინ მთლად დაიღუპება და 50 წელიწადსაც ვეღარ გაისწორებს საქმეებს“.

„ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: პარიზის ბანკირებმა გამოაცხადეს, სანამ რუსეთი მანჯურიაში მაშველ ჯარს არ ჩაიყვანს, რუსეთის სესხში მონაწილეობას არ მივიღებთო. („ო. ნ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ბოლოს დროს აქ ძლიერი აგიტაცია გამართეს, რომ ეხლანდელი ომი „წმინდა“ ომად გამოაცხადონ. უნდათ, რომ ამ ხერხით რუსის მონასტრებს თავიანთი აუარებელი სიმდიდრე ომისათვის გამოაღებინონ. მონასტრებს საერთოდ 7 მილიარდის თანხა აქვთ; მარტო „ტროიცკო-სერგიევის“ ლავრას აქვს მილიარდ ნახევარი. მაგრამ საეჭვოა, რომ საქმე აქამდე მივიდეს, რადგან რუსეთის საზოგადოება ერთპირად ომის გაგრძელების წინააღმდეგია. („ო. ნ.“).

რუსეთი შერიგებას არ პირობს. თუმცა უცხოეთის პრესა და რუსულ პრესის საუკეთესო ნაწილი შერიგებას ურჩევენ რუსეთს, რუსეთის მთავრობა, ჯერ-ჯერობით მაინც ბეჯითად აპირობს ომის გაგრძელებას: 200 მილიონ მანეთის შინაური სესხი გამოსცა, გადასახადებს მოუმატა, ახალ სარდლებსა ჰნიშნავს და დიდ ძალ-ჯარსა ჰგზავნის მანჯურიაში.

როგორც დეპეშამ გვაცნობა, გენ. გრიპენბერგის ნაცვლად, მეორე არმიის უფროსად გენ. კაულბარსი დაუნიშნავთ და მესამე არმიის უფროსად—გენ. ბატიანოვი.

„ეკო დე პარი“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: საბოლოოდ გადასწყვიტეს ომის ასპარეზზე კიდევ 400 ათას კაცის გაგზავნა. გაიგზავნება მე-14 კორპუსი კიევიდან, მე-15 კორპუსი ვარშავიდან, მე-2 ქვეითა გვარდიის დივიზია ვარშავიდან, მე-2 ცხენოსანი გვარდიის დივიზია პეტერბურგიდან. პირველად გრენადერთა კორპუსს გაჰგზავნიან მოსკოვიდან და ამ კორპუსს სხვები მიჰყვებიანო. („ო. ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: რუსეთს ყუმბარა და პატრონა აკლია, რადგან სახელმწიფო ქარხნებში მუშები გაფიცულები იყვნენ. ამიტომ რუსეთი იძულებული იქნება, გერმანიის ქარხნებს შეუკვეთოს სამხედრო მასალის დამზადება. („ნ.“).

რიგის მავთულის ქარხანას სამხედრო სამინისტრომ 30 ათასი ფუთი ეკლიანი მავთული შეუკვეთა, მაგრამ ქარხანამ უარი შეუთვალა, მაგდენს მავთულს დროზე ვერ დავამზადებო. („ო. ნ.“).

რუსის ჯარის ზარალი. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება: ისეთი მტკიცე იმედი გვქონდა გამარჯვებისა, რომ მუკდენ-ტელინის გზის კარტები დროზე ვერ დავურიგეთ აფიცრებსაო.

ეს კარტებიც მუკდენში დარჩენოდათ რუსებს. მარშალი ოიამა იუწყებოდა: რამდენიმე ფურგონი ჩავიგდეთ ხელში კარტებით სავსეო. („ლ. ნ.“).

იაპონია მუკდენის ბრძოლის შემდეგ. მუკდენის ბრძოლამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქვეყნიერობაზე. ყველამ სულ სხვა თვალით შეჰხედა იაპონიას. გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა „ყვითელი საფრთხე“ დაივიწყა და იაპონიის პრინცი არისუგავა თავის უფროს შვილის ქორწილში მიიწვია; გერმანიის მთავრობამ მეგობრული ნოტა გაუგზავნა იაპონიის მთავრობას; გრაფმა ბიულოვმა გამოაცხადა პარლამენტში, გერმანიის მთავრობა წინააღმდეგი არაა, იაპონიამ სესხი გამოსცეს გერმანიაშიო. ინგლისური პრესა თხოულობს, ინგლისმა იაპონიასთან უფრო მჭიდრო კავშირი დასდვასო. ჰოლანდიამ გარეშე საქმეთა მინისტრი გადააყენა, რადგან იაპონია უჩიოდა ამ მინისტრს, ცუდად გვექცევა (ჰოლანდიის კოლონიებში) და ადმ. ტოგოს დეპეშებს იჭერსო.

მუკდენის ბრძოლამ ბევრ გაზეთსაც შეაცვლევინა გუნება. რუსეთისათვის თავდადებული ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ მუკდენის შემდეგ ამბობს: ერთის წლის წინადვე ვამბობდით, რომ რუსეთი იაპონიასთან ვერას გახდებოდაო. გაზეთს დაავიწყდა, რომ სრული წელიწადი ანიჟებით ამტკიცებდა, რუსეთი უსათუოდ გაანადგურებს იაპონიასაო. („ო. ნ.“).

მემამულეთა ხმა

რუსები ამბობენ, „სანამ არ დაიქუხებს, გლეხი პირ-ჯვარს არ გადიწერსო“. ეს ანდაზა სწორედ ჩვენზე, თავად-აზნაურობაზეა გამოჭრილი: მხოლოდ გურიის ამბებმა, რომელიც გლეხთა მოძრაობის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს, მხოლოდ ქართლელ და კახელ გლეხების უეცარმა აფეთქებამ გამოგვიყვანა იმ საღათას ძილისაგან, რომელშიაც დღემდის ვიმყოფებოდით,

გლეხთა მოძრაობამ რაღაც მოუსვენარობაში ჩაგვაგდო ჩვენ, თავად-აზნაურნი, აგვაშფოთა, აგვაღელვა, ფაცა-ფუცით ჩამოგვრეკა ტფილისში ცხოვრების მიერ წამოყენებულ მწვავე საკითხის გადასაწყვეტად. რა ვქნათ, რა მოვუხერხოთ აღელვებულ გლეხებს? რა ზომები ვიხმაროთ იმათ დასამშვიდებლად? ერთის სიტყვით, აღელვებულ გლეხ-კაცობაში დღეს ჩვენ მტერს ვხედავთ და ამის გამო საგონებელში ვართ ჩავარდნილნი. საკმაოა კაცმა თვალი გადაავლოს ჩვენსა და გლეხის დამოკიდებულების ისტორიას და დარწმუნდება, რომ არასოდეს თავად-აზნაურობას გლეხების სამართლიანი და გონიერი მოთხოვნილებანი არ დაუკმაყოფილებია.

როდესაც თხოვნა-მუდარით ვერას გახდებოდნენ გლეხები და ამა თუ იმ სახით მოიწადინებდნენ თავის უფლებების დაცვას, ჩვენ, მემამულენი, მაშინვე მივმართავდით ადმინისტრაციას, რომელიც ყოველთვის მზად იყო ჩვენთვის პატივი ეცა და დახმარება გაეწია. ჩავაჩუმებდით რა გლეხებს ძალით, შევუდგებოდით ჩვეულებრივ უდარდელ ცხოვრებას და ერთხელაც არ ჩავკვირვებივართ, გონივრულად არ აგვიწონ-დაგვიწონია ის მოთხოვნები, რომლითაც მოგვმართავდნენ ხოლმე გლეხები. რად არიან გლეხნი ჩვენი უკმაყოფილონი და ამ უკმაყოფილების დროს რისთვის ვხედავთ, გლეხ-კაცში მემამულის დაუძინებელ, საშინელ მტერს? ამ კითხვებზე არასოდეს არ გვიფიქრნია და თუ გვიფიქრნია, პასუხი არ გაგვიცია. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენდა დაუკითხავად მოქმედებდა, მიექანებოდა წინ სწრაფის ნაბიჯით, ჩვენ კი უკან ვრჩებოდით, უდარდელად ვცხოვრობდით და ყურადღებას არ ვაქცევდით იმ ცვლილებას, რომელიც ჩვენს გარშემო ხდებოდა. ვერ ვამჩნევდით, როგორ ჩნდებოდა სოფელში ახალი ელემენტი, როგორ მოიწევდა ქალაქიდან სოფლისაკენ ცხოვრების კულტურული ნაკადული. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ეს სოფელში ახლად დაბადებული ელემენტი ქალაქის პროლეტარიატთან ერთად როდისმე წარმოადგენდა ძალ-ღონით და მხნეობით სავსე საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც თვით ისტორიამ დაავალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალ ეპოქის შექმნა. აი, ეს ჩვენი შეუგნებლობა, ჩვენი ჩამორჩენა ერთხელ კიდევ ცხად ჰყოფს იმ აზრს, რომ ეკონომიურ პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლება საზო-საზოგადოებრივი პირობებიც, იბადებიან ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები, კლასები, რომელნიც ცხოვრებას სათავეში უდგებიან და იჭერენ ძველ საზოგადოებრივ კლასის ალაგს, რომელმაც დროთა ვითარების გამო უკვე დაჰკარგა მნიშვნელობა და ძალაუნებურად ქედი უნდა მოიხაროს ახალ ძალის წინაშე.

ჩვენ, მემამულეებმა, დიდი ხანია მოვიჭამეთ ჩვენი წუთი-სოფელი. დადგა ახალი ხანა, საზოგადოებრივი ცხოვრება ძირიანად შეირყა, ხალხი ამოძრავდა, ახალ კლასს სურს ძველი უვარგისი, წეს-წყობილება მოჰსპოს და იმის მაგივრად ახალი დაამყაროს. ჩვენ კი ყველა ამაში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ, პირიქით, შეშინებულნი გამოვრბივართ სოფლიდან ქალაქში და აღელვებულნი ერთმანერთს ვეკითხებით, რა მოვუხერხოთ აღელვებულ გლეხ-კაცობასაო? სანამდის გლეხების დასამშვიდებლად რაიმე ზომებს მივმართავდეთ, ურიგო არ იქნება ღრმად ჩავუკვირდეთ ახლანდელ მოძრაობას, გავითვალისწინოთ გლეხებას მოთხოვნილებანი და შეიძლება იმ აზრამდე მივიდეთ, რომ დღევანდელ გლეხების მოძრაობა საშიშს არაფერს წარმოადგენს და ჩვენ, მემამულეთ, მტრებთან კი არა, მოყვარესთანა გვაქვს საქმე. გურიის გლეხების მოთხოვნილებაში მთელი გლეხ-კაცობის მოთხოვნილებაა. რაში გამოიხატება ეს მოთხოვნილებანი.

1. გლეხები აღნიშნავენ ბაჟების უთანასწორო და უსამართლო განაწილებას; აგრეთვე თავხედობას და ძალადობას, რომელსად ადგილობრივი ადმინისტრაცია ჩადის ბაჟების გადახდევინების დროს.

2. თხოულობენ ეგრედ წოდებულ დრამის მოსპობას, რომელსაც გლეხი მღვდლის სასარგებლოდ იხდის (იმერეთში 2. მან. კომლზე, ხოლო ქართლსა და კახეთში ჭინახულით), მიუხედავად იმისა, რომ მღვდლები, გარდა ჯამაგირისა, ნათვლასა, გასვენებასა, დანიშვნასა, ქორწინებასა და სხვაში ცალკე ჯილდოს იღებენ.

3. ყოველ სოფელში რამდენიმე შეკაზმულ ცხენს ინახავს გლეხობა მოხელეთათვის და მათ ბარგის საზიდად. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს გლეხობა ამ უსამართლო მოვალეობისაგან.

4. მარტო გლეხებს აკისრებენ გზის კეთებას, მაშინ, როდესაც ამ გზით ყველა სარგებლობს—აზნაურიც, თავადიც, გლეხიც და ვაჭარიც. გლეხობის აზრით, ეს უსამართლობაც უნდა მოისპოს.

5. თხოულობენ, რომ ყველა საჭირო საგნები აქციზისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

6. თხოულობენ, სალდათების ცხოვრების გაუმჯობესებას და დღევანდელი [illegible] წესის მაგივრად საერო მილიციის შემოღებას.

7. საყოველთაო და სავალდებულო სწავლას.

8. სიტყვის, ბეჭდვის, კრებების და მიმოსვლის თავისუფლებას.

არიან სხვა მოთხოვნილებანიც, მაგრამ ჯერ ამაზედ შევჩერდეთ და ჩვენ თავს ვკითხოთ: ამაში რა არის იმისთანა, რაც ეწინააღმდეგება თავად-აზნაურობის ინტერესებს? ეს გონიერი მათი მოთხოვნა არ არის ვიწრო წოდებრივ ხასიათისა და უკანასკნელი სამი ხომ პირდაპირ ვრცელ რეფორმას წარმოადგენს. რაიცა შეეხება მეოთხე მუხლს, რომ ყველა წოდება თანაბრად ეწეოდეს გზების საკეთებელ ხარჯს, დღეს მგონი ძნელად მოიპოვება ისეთი თავადი ან აზნაური, რომელიც ასეთ სამართლიან აზრს არ დაეთანხმოს.

ავიღოთ ახლა უმთავრესი მოთხოვნა გლეხ-კაცისა, რომელიც ზემოდ განზრახ არ მოვიხსენიეთ, მოთხოვნა, რომელიც ჩვენს მემამულეთა ჯიბეს ეხება და ამის გამო ასე გვაშინებს და გვაღელვებს. ეს მოთხოვნა სამუდამოდ განთავისუფლებაა დროებით ვალდებულ გლეხებისა და გამოყიდულ ნადელებში მიღებულ ფულის უკანვე დაბრუნება. ეს მოთხოვნა ჩვენ რაღაც უკანონოდ და უსამართლოდ მიგვაჩნია. მაგრამ განა ასეა? შევხედოთ გონიერად; ლოღიკურად მავსაჯოთ ყველაფერი.

გლეხები სამართლიანად აცხადებენ, რომ მიწის გაჩენაში არავის შრომა არ მიუძღვის. მართლაც და თუ ჩვენ განუსაზღვრელად ვსარგებლობთ მიწებით და ტყეებით, ეს იმიტომ, რომ ისტორიულმა პირობებმა მოაწყო ეს საქმე ჩვენ სასარგებლოდ. მაგრამ გლეხებმა უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რომ მთავარი საკითხი მიწის გასაზოგადოების შესახებ მხოლოდ მომავალში გადაწყდება; ხოლო სანამ დღევანდელი სოციალური წესწყობილება ჰსუფევს, ისინი კმაყოფილდებიან და ასახლებენ ეკონომიურ მცირე (minimum) მოთხოვნას. ამისთვის გლეხები თხულობენ დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის მოსპობას და სანადელო მიწების გლეხთა სრულ საკუთრებად გადაცემას.

რა კანონია ის კანონი, რომლის ძალითაც ის მიწები, რომელსაც გლეხები ბატონყმობის დროს თავიანთ სასარგებლოდ ამუშავებდნენ, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩამოერთვათ და ჩვენ გადმოგვეცა?! განა სამართლიანად მოეპყრნენ გლეხებს, როდესაც ისინი ვითომდა გაანთავისუფლეს, მაგრამ სამუდამოდ ჩვენი ვალდებულნი გახადეს?! რად უნდა გამოისყიდოს იმან ის პატარა მიწა, რომელსაც ნადელი ჰქვიან და რომელშიაც საწყალს მთელი თავისი ძალ-ღონე ჩაუდვია. დროა აღვიაროთ, რომ ყველა ეს მეტის მეტად უსამართლობაა.

ჩვენ, თავად-აზნაურები, არა ვკმაყოფილდებით აუარებელ ადგილ-მამულით (თუ დღეს ეს აუარებელი ადგილ-მამული ბევრს აღარა აქვს, ამისი ბრალი, მგონი, არავის არა აქვს), ჩავჭიდებივართ ნადელებს და ფიქრადაც არ მოგვდის ვაკუთვნოთ ეს ადგილები იმათ, ვისაც ეკუთვნის. საჭიროა ამას სერიოზული ყურადღება მივაქციოთ, რადგან ისტორიის რკინის კანონები ძალით შეგვასრულებინებენ იმას, რასაც ნებით არ შევასრულებთ.

თავად-აზნაურობამ უნდა იცოდეს, რომ გურიის მოძრაობა უბრალო აფეთქება როდია: ეს არის ფრიად სერიოზული მოძრაობა, რომელსაც ღრმა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიზეზები უდევს საფუძვლად; როგორც ხედავთ, თვით ცხოვრება გვიკარნახებს, რომელი გზა ავირჩიოთ დღეს. ცხოვრება იმას კი არა თხოულობს ჩვენგან, რა ზომები ვიხმაროთ აღელვებულ გლეხების დასამშვიდე-

ფელეტონი

მეგრული ენა

(დასასრული *)

ქართველ საზოგადოებამ ისეთ იარაღს უნდა მიმართოს, რომელიც გამოცდილია და ხელში არ შეატყდება, თორემ სამართლიან საქმესაც რომ იცავდეს, მაინც წააგებს. „მეგრული ენა ქართული ენა არ არისო“, ამის თქმა შეიძლება, ათასჯერ გამეორებით დაბეჭდვაც, მაგრამ დამტკიცება შეუძლებელია. ასეთი აზრი შეუძლია გულწრფელად განაცხადოს მან, ვისაც ნამდვილი მეგრული არას დროს არ გაუგონია. არიან ისეთნიც, რომლებმაც მეგრულის თავისებურობა კარგად იციან, და აჯერებენ თავის თავს და მსმენელთ, ეგ დამახინჯებული ქართული არისო, რაც უეჭველად შეუწყნარებელი აზრია, რადგან ენათ მეცნიერება უარყოფს ასეთ დამახინჯებითი აღორძინებას ენებისას. ან კიდევ იტყვიან, რომ მეგრელებმა, დაშორდენ რა ქართველებს პოლიტიკურად, თან და თან ენა გადაისხვაფერესო. ეგ აზრი ხომ აგრეთვე ყოვლად მეცნიერულ სიმართლეს მოკლებულია, და თან იგი აზიანებს და ასუსტებს უმთავრეს, ნამდვილ ისტორიულ ნიადაგს იმ აზრის დაცვისა, რომ სამეგრელოს სკოლებში უსათუოდ ქართულ ენას უნდა ასწავლიდენ, თუ სწავლა-განათლების გამავრცელებელთ მეგრელების ეროვნული გადაგვარება და განადგურება არა სურთ.

ისტორიული შესწავლა მეგრული ენის ცხად ყოფს, რომ იგი თანდათან უფრო დაახლოვებია ქართულ ენას, რომელთან თავიდანვე ძმური ნათესაობა ჰქონია, და არა თუ დაშორებია. თვით ენა ამტკიცებს ქართველების ძლიერ კულტურულ გავლენას მეგრელებზე. ეგ ვიცით ისტორიიდანაც. მას აქეთ, რაც სამეგრელოში შინაურულ განათლებამ ფეხი გაიმაგრა და უცხო ბერძნული ზედმოქმედება დასუსტდა, ერთად-ერთ იარაღად თავის ეროვნული განვითარებისა მეგრელებს მიუჩნევიათ მონათესავე ენა, უკვე სამწერლოდ შემუშავებული მაშინ და დაწინაურებული, ესე იგი ქართული. ქართული ენა გაბატონებულა სამეგრელოში არა თუ ძალმომრეობით და პოლიტიკური მოხერხებულობით, თუმცა ადვილად დასაჯერებელია, რომ ოდეს ქართლის ღვიძლ შვილებს ეროვნული თვითცნობიერობა გაეღვიძა და მათ თანაბარი მიდრეკილებანი დაებადა, ივინი, ქართული ენით მოსაუბრენი, შრომას არ ზოგავდენ თავის შინიდანვე დედაენის გასავრცელებლად. ადვილი დასაჯერებელია ეს, რადგან ამ ქართველებს, მათ შორის გრიგოლ ხანძთელს როგორც ახლა დაბეჯითებით შეგვიძლია, ვთქვათ, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ენის გავრცელებაში თვით სომხურად მოსაუბრე მცხოვრებთა შორის ტაო-კლარჯეთში. მაგრამ თავი და თავი მიზეზი ქართული ენის გავლენისა მეგრულზე და მისი კულტურულ გაბატონებისა სამეგრელოში თვით მეგრელების გულითადი ლტოლვა და მისწრაფება ყოფილა. მათ თავიდანვე დაუნახავთ, რომ საკუთარ ეროვნულ განათლებისა და განვითარებისათვის მათ საჭიროა სარგებლობა ისეთ ადვილ-შესაძენი სასიქადულო იარაღით, როგორიც იყო მაშინ უკვე დაწინაურებული ქართული ძმა-ენა, და მეგრელები კიდევაც შესდგომიან ამ ბუნებრივ გზას და ბრწყინვალედ უჩენიათ თავი როგორც მწერლობაში, ეგრე ყოველ საერთო ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ეკკლესიურ მაშინ აღმაფრთოვანებელ ცხოვრებაში და გაშენებაში ქართულ მონასტრების, რომელნიც საზოგადოებრივ წინ-მსვლელობის უბეჯითეს წინდს წარმოადგენდენ, როგორც მუდრო მისაყრდნობელნი გონებრივი და ზნეობრივი მუშაობის, განყენებულისაც და პრაქტიკულისაც. ქართული მწერლობა ამგვარად უფრო-და-უფრო განვითარებულა. და ამ განვითარებაში ძმური მონაწილეობა მიუღიათ, მცხარედ და ნაყოფიერად უღვაწიათ მეგრელებს, რომელთაც ქართული მიუჩნევიათ ერთად-ერთ ღვიძლ სამწერლო ენად მაშინაც, ოდეს საშინაოდ და ოჯახში ადგილობრივ ენას, მეგრულს, არ ივიწყებდენ. ასეთ ვითარებას გაუტანია არა თუ ერთი ან ორი მოდგმის ხანა, არამედ მთელი ხანგრძლივი საუკუნენი, ათასზე დიახ მრავლად მეტი წელნი. და სრულიად საქართველოს თვითცნობიერების დედა ბოძად მიუხედავად კუთხისა და გვარ-ტომობისა იგი რწმუნება გამხდარა, რომ ყოველ საქართველოს ნათესავ გვარტომთათვის, რა კილოითაც ან რა ენითაც უნდა მუსაიფობდენ იგინი თავის კერასთან, ქართული ენა და ქართული მწერლობა არის ერთად ერთი გზა ეროვნული გონებრივი წარმატების. ამ ისტორიული ცხადი ფაქტის შედეგი არის, რომ არა თუ რაჭველი, კახელი, გურული, მეგრელიც და თვით სვანიც, ოდეს საზოგადო ასპარეზზე გამოდის, როგორც ეროვნული მოღვაწე, მხოლოდ ერთ და საერთო მკვიდრ და უტყუარ თვით-ცნობიერებას გრძნობს, ეგრედ წოდებულ ქართულ თვით-ცნობიერებას, რომელიც არა თუ მის გულთა გულის უახლოესსა, ვითარცა თავიდანვე თანამონათესავე მოვლენა, მისი ძმატომის ნაღვაწი, არამედ მისი სულისა და ჭკუის კვეთებათ გამომეტყველია, რადგან მის შემუშავება-შეკაზმვაში მასაც, მის გვარ-ტომსაც, აქვს შესამჩნევი წილი. ერთი სიტყვით, ქართული ენა და ქართული მწერლობა იწოდება ქართულად მისი ისტორიული აღორძინების ერთ და ერთ მომენტის მიხედვით, ხოლო ნამდვილ და არსებით ახლა იგი არა თუ მარტო ქართულია, არამედ ქართულ-მეგრულ-სვანური გახლავს. ამაზე მუსაიფის გაგრძობა არ ღირს, იმდენად თვალსაჩინოა იგი მისთვის, ვისაც ოდნავ მაინც შეგნება აქვს საქართველოს ისტორიისა.

ამასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მეგრელთა თავად-აზნაურობის ერთ დროს მოწინავე პოლიტიკურ ძალის, სრულებითი ქართველობა, ქართველობა მეგრელთა ვაჭრობაში და აღებ-მიცემაში, რაოდენ ყოველი მათი მეზობლური განწყობილება და მისვლა-მოსვლა ქართულ სიტყვა-პასუხზე და ქართულ მიწერმოწერაზე არის დაფუძნებული, და last, but not least, სხვა რომ ეხლახან ვსდუმნეთ, ქართველობა მეგრელთა წმიდათა უწმინდესის, ესე იგი სარწმუნოებრივი გრძნობის ეგ სულიერი ნათესავობა, უარუყოფელი, ასე ადვილად ხელწასაკრავი არ უნდა გამხდარიყო სასულიერო უწყებისთვის. ამ აზრით მეგრული ენის შეტანა სკოლაში ქართულის შესავიწროებლად და ფრთათ აღსაკვეცელად სარწმუნოებრივი თავისუფლების ცხადი გმობა გახლავს, თვით მეგრელთა გვარტომის უმინაგნეს წმიდა გრძნობათა აშკარა შელახვას ნიშნავს.

[illegible] მგონი, ნათქვამიდანაც ნათლად სჩანს, რომ თუმცა მეგრული ენა ლინგვისტიკურად თავისებური ენა არის, ქართულის ძმა ენა, და მიტომაც დიახ ძვირფას მასალას გვაძლევს როგორც ზოგად განყენებულ ენათმეცნიერებისათვის, ეგრეთ თვით ქართველთა სიტყვიერებისათვის, რადგან ერთი უსაჭიროეს წყაროთაგანია ქართული ენის თეორიის გამოსაკვლევად და ნამდვილი გრამატიკის დასაფუძნებლად, მაშასადამე მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონის გაფართოებას, ჩვენი დედა-ენის შეგნებას და განვითარებას, თუმცა ეს აგრეა, მაგრამ ადგილობრივი კულტურული ისტორიის გათვალისწინებით იგი გახლავს დიალექტი, ან, უკეთ, როგორც ფრანგები იტყვიან, „პატუა“ (patois). არც საფრანგეთში, არც გერმანეთში, არც ინგლისში და არც თვით რუსეთის სახელმწიფოში გარდა სამეგრელოსა არავის არ ხელყოფია იმდენი მწერლობის შექმნა, რამდენი დიალექტი და „პატუა“ მოიპოვება ხსენებულ ქვეყნებში, თუმცა მათი თავისებურ-ენობა ლინგვისტიკურად დამტკიცებულიც იყოს, და იმდენი ახალი საგნის შეტანა ბავშების სასწავლად სანაცვლოდ ან შესავიწროებლად საერთო კულტურული დედაენის: ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის და რუსულის. ამ უცნაური საქმის ჩადენა მოუწადინებია მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის ადგილობრივ მთავრობას. ასეთი მცირე და ვითომ-და უმნიშვნელო საქმით, ვითარცა მეგრული ენის შემოტანა სკოლებში ქართულის ენის გამოსაძევად, კავკასიელ მთავრობას, იქნებ თავის შეუგნებლობით, უკისრია სამეგრელოში სარწმუნოებრივი წმინდა გრძნობის შებილწვა, ძველთა ძველი ეკლესიის უკუღმა დაბრუნება და დამხობა, ადგილობრივი თავად-აზნაურობის გაცალკევება, დაქსაქსვა და განადგურება და გლეხი მუშა ხალხის სამუდამოდ უვიცობაში ჩატოვება, ერთი სიტყვით მთელი მხარის გაველურება. თუ ეს არ მოხდა სავსებით, ისევ ძველი ადგილობრივი კულტურის წვეთი წყალობა გახლავს, მაგრამ შეუგნებელ მოხელეთ უკუღმართ ხვნა-თესვამ მაინც შეიტანა საქართველოში ცივებ-ცხელებიანი მოძრაობა და ცხოვრების წინსვლელობითი მიმდინარეობა კანონიერ ბუნებრივ კალაპოტიდან ამოაგდო. ახლა იგინი მკიან, რაც დაუთესიათ, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ეგ შეცდომა იქნებოდა: იგინი, თუ გაუჭირდათ, ადგებიან და შინ წაბძანდებიან, და მათი სამკალი უნდა მკას უმაღლეს მთავრობამ და უფრორე მთელ კავკასიელთა ქვეყანამ, ყველაზე უწინ საბრალო, ეკონომიურად გაჭირვებულ, გამოუცდელ გურიამ, რომლის დანაშაულობა მხოლოდ ის არის, რომ ჭკუა მახვილია, ანაგებით მკვირცხლი და თოფის წამალსავით ადვილად ასაფეთქელი გამბედავი გულის პატრონი.

თავის დროზე ზოგადი სიტყვებით დავახასიათე კავკასიაში სწავლა-განათლების უგმაკური მიმართულება და რუსულად დავბეჭდე (Журн. министерства народн. просвѣщ. 1899, ივლისი) „по какой бы системѣ ни воспитывать характеръ, какимъ бы идеальнымъ подборомъ образовательныхъ наукъ ни упражнять умъ, искуственный разрывъ съ роднымъ культурнымъ прошлымъ неизбѣжно ведетъ громадное большинство къ духовному вырожденію“. მაგრამ თავისი უგმაკურობა არავის არ მოუშლია. არც ახლა მგონია, რომ ამ ქართულ ბარათმა ან ვისიმე წერილმა რამე შეცვალოს, ვიდრე თვით ქართველები არ დაადგებიან ძველებურად კულტურულ შრომის გზას გარკვეული გეგმით და მეცნიერების შესაძენად, თვითცნობიერების ჩასაღრმავებლად და მისგან დამოკიდებულ მშვიდ, მაგრამ ბეჯით მოღვაწეობის სულის ჩას[illegible]ლად სიმხნეს გამოიჩენენ, ხოლო მცხარე, [illegible] სიტყვებს და ცალკე პიროვნებათ განსჯას სხვა უფრო მოსალხენ, არა ეხლანდელებრ მძიმე დროისთვის შეინახვენ. მაგრამ ბძანებთ, როგორ? სწორედ ეს კითხვაა, რომლის გადაჭრილი, საქმიანობითი, ნათელი და დასაბუთებული პასუხი მზა უნდა ჰქონდეს ყოველ მოწინავე მოღვაწეს, და უკეთუ ასეთი პასუხის მომზადება ამ მძიმე ჟამამდი ვერ შეიძლებია მეთაურებს საზოგადოებისას, [illegible] და [illegible] [illegible] სიტყვაურებს და წვრილმანებს ხარჯავს. როგორც [illegible] მოქმედებას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს [illegible] ენის კითხვაში, მისი [illegible], [illegible] თუ კეთილნი, ან სხვების [illegible] [illegible] ვერას ვერ გააწყობენ, [illegible] დაგზე არ დააფუძნებენ თავის [illegible], ეგრეთვე სხვა უფრო მძიმე საქმე[illegible] ქართველობა მხოლოდ მაშინ მოუსწრობს [illegible], ოდეს თავის მოქმედებას ფეხზედი [illegible] წაუძღვება წინ და თავის დიახ საჭირო, [illegible] სოდაც მცირე ეროვნულ ძალას მთლ[illegible] ფოდ არ დაუღუპავს.

ნიკო მარ[illegible]

ს.-პეტერბურგი

---

*) იხ. „ცნობ. № 2772

ბლად. ახალი ცხოვრება გვავალებს გლეხებს გვერდში ამოვუდგეთ და მათთან ერთად ვიმოქმედოთ. ასეც უნდა მოვიქცეთ, თუ გვსურს, რომ დღევანდელ დიად მოძრაობის მძლავრმა ტალღამ არ წაგვლეკოს...

ვიმეორებ, აუცილებლად საჭიროა გლეხებთან სოლიდარობა, ზოგიერთ აუცილებელ მოთხოვნის ეხლავე დაკმაყოფილება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქართლ-კახეთის გლეხების სტიქიური მოძრაობა სასურველ კალაპოტში ჩადგეს. ამისათვის საჭიროა ეხლავე სრულ საკუთრებად მიეცეს გლეხებს სანადელო გამოუსყიდავი მიწები და სამუდამოდ განთავისუფლდნენ ყოველნაირ ვალდებულებისაგან. როდესაც ამ მხრივ გლეხებს დავაკმაყოფილებთ, აუცილებლად მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. **კახელი თავადიშვილი.**

თქმა სჯობს, თუ უთქმელობა?

ბ-ნი სიტყვა თავის წერილში: „რა არ არის გურულების განცხადებაში“? („ცნობ. ფურც.“ № 2759) გვარწმუნებს, რომ, „თუ დღეს გურულებმა არაფერი განაცხადეს ეროვნების შესახებ, ეს მხოლოდ გარეგანის შემთხვევითის მიზეზის ბრალიაო... ხალხს მეტადაც მიაჩნია კითხვის დაყენება ეროვნების შესახებ“, რადგან ეს თავისთავად იგულისხმებაო, და სხვ.

ამ მსჯელობაში ბევრი რამეა ჩემთვის გაუგებარი; ამგვარი მსჯელობა მე სოფისტიკურ მსჯელობად მეჩვენება. ორში ერთი უნდა იყოს: ეროვნული საკითხები ან მეტად მნიშვნელოვანია ხალხის ცხოვრებაში—და, მაშასადამე, მათ შესახებ გაჩუმება მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს საზოგადოების ყოველს შეგნებულ წევრს, ან უმნიშვნელოა—და, მაშასადამე, მათზე ლაპარაკიც არა ღირს.

ბ-ნი სიტყვა დამეთანხმება,—და კიდევაც სჩანს იმის წერილიდან,—რომ ეროვნულ თვითცნობიერებას უდიდესი ადგილი უჭირავს ხალხის ცხოვრებაში. მართლაც, ადამიანი ნამდვილ ადამიანს მხოლოდ მაშინ ემსგავსება, როცა ეკონომიურ საჭიროებასთან ერთად სრულის შეგნებით გრძნობს სულიერ მოთხოვნილებას და მისი დაკმაყოფილება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია; ხალხი ადამიანურად გამოღვიძებული მხოლოდ მაშინ არის, როცა შეგნებულად ესმის, რომ ყმაწვილს მხოლოდ დედაენაზე შეუძლია ჭეშმარიტად, ნორმალურად გონების განვითარება; ხალხი მაშინ არის ეროვნულად მომწიფებული, ადამიანურად განვითარებული, როცა სწყურია—კასწმინდოს და გაამშვენიეროს თავისი სამეტყველო დედაენა, ჰარმონიული, მუსიკალური იყოს მისი ენა როგორც საუბარსა, ისე მწერლობაში, გულსა და სულს ატკბობდეს უმაღლესად განვითარებული მისი მუსიკა და სიმღერა, ციური ხმა ისმოდეს მის მგოსანთა ჩანგის ჟღერაში, ღრმა აზროვნებითა და მაღალგონიერებით აღბეჭდილი იყოს მისი მეცნიერება!..

ენის გამშვენიერება, მწერლობის გამდიდრება და ამაღლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხის ენას ფართო თავისუფლება აქვს მინიჭებული ცხოვრებაში. ეს ბ-ნ სიტყვასაც კარგად ესმის, მაგრამ მაინც ამართლებს გურულების სიჩუმეს ამ დიდ საგნის შესახებ! ბ-მა სიტყვამ გაიცნო გურულები და დარწმუნდა, მეც ვიცნობ გურულებს და დარწმუნებული ვარ, რომ თავის ეროვნულ საქმეებს, თავის დედაენას ისინი არაოდეს არ დაივიწყებენ. მაგრამ განა ის კმარა, რომ მარტო ჩვენ ვიყოთ დარწმუნებული ამაში? განა საჭირო არ არის, მთელ ქვეყანას ვამცნოთ, რომ ჩვენ საკმაოდ შეგნებულნი ვართ და ნათლად გვესმის, თუ რა არის საჭირო ადამიანის გონიერ არსებობისათვის?! რა სათქმელია, რომ ეროვნული თვითცნობიერება თავისთავად იგულისხმებაო?!.. თავისთავად უფრო ის იგულისხმება, რომ მშიერ ადამიანს პური უნდა, რომ ღარიბ მცხოვრებთათვის ათასნაირი გადასახადი მეტად სამძიმოა, რომ მათრახები ძნელი მოსათმენია,—და თუ ყველა ამას ხმა მაღლა ვაცხადებთ, რა საფუძველი გვაქვს—არ გავაცხადოთ იმისთანა დიდებული საგანი, როგორიც არის დედაენის თავისუფლება შკოლაში და ხალხის მთელ ცხოვრებაში?!..

ჩვენს წინაპრებს ხშირად ვუსაყვედურებთ ხოლმე, რომ არ იყვნენ დიპლომატ-პოლიტიკოსებიო, და შეიძლება იმიტომ გვინდა—დღეს მაინც გამოვიჩინოთ დიპლომატობა!.. დღეს ჩვენ პოლიტიკურ გამჭრიახობაში პოლონელებს წინ გავუსწარით, და ალბათ ისინი უგუნურად მოქცეულან, რომ თავისი ეროვნული მოთხოვნები დაუფარავად აღიარეს!..

მართალია, ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“,—მაგრამ მე არ მესმის დიპლომატიურად გაჩუმება დღევანდელ დღეს, როცა ყველას სწყურია—სიმართლე გაიგონოს, ქვეყნის ნამდვილი საჭიროებანი გაითვალისწინოს,—და ამიტომ სულითა და გულით მივესალმები და ვუერთდები საჯავახოს მცხოვრებთ, ჯვარცმის საზოგადოებას, რომელთაც სავსებით, უკლებლად მოითხოვეს ის, რაც აუცილებლად საჭიროა ჩვენის ერის კეთილდღეობისათვის. **სილოვანი**

გლეხთა მოძრაობა

ქართლში გაგზავნილი ბ-ნი ვეიდენბაუმი, როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილეს გენერალს მალამას უკან დაუბარებია, რადგან მოძრაობა ძალიან გამწვავდაო.

სოხუმში, როგორც „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, მოძრაობა გაძლიერებულა. მცხოვრებნი შეშინებულნი არიან. სამოსწავლო უწყება თხოულობს, დროებით დაიკეტოს სასწავლებლები. პოლიცია უღონოა.

გორიდან, იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ 14 მარტს უწესოებები მოხდა, რომლის დროსაც ერთი კაცი მომკვდარა და ათი დაჭრილა.

ქარელში ხელი აიღეს მუშაობაზე ლიანდაგის მუშებმა, როგორც თვიურმა, ისე დღიურმა.

გუშინ, 16 მარტს, **გორში გაიგზავნა** ყაზახთა ეისკის პოლკის ორი სოტნა. ეს ყაზახები ორ რაზმად წასულან. ერთში იყო 116 ყაზახი და 4 აფიცერი, მეორეში—117 ყაზახი და 3 აფიცერი.

სოფ. ქვემო-ავჭალა. ადგილობრივ მემამულის ი. ლორის-მელიქოვის სახლში დაბინავებულან გლეხები, რომელნიც ამტკიცებენ, ეს მამული ამ 13 წლის წინად ჩვენ გვეკუთნოდაო. ლორის-მელიქოვმა პოლიციას მიმართა და ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე აიყვანა. სახლი მათ დაკეტილი დახვდათ. ლორის-მელიქოვმა სთხოვა მაზრის უროსის თანაშემწეს, გატეხეთ კლიტე და ჩემ სახლში შემიშვითო, მაგრამ მან უპასუხა, მე მაგის ნება არა მაქვს და თუ გნებავთ, სამართალს მიმართეთო.

უკვე ვწერდით, რომ სოფ. **ავჭალის მცხოვრებლებმა** უკმაყოფილება განუცხადეს ტფილისის თვით-მმართველობას და თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ქალაქის გამგეობამ ავჭალაში გაგზავნა გამგეობის წევრნი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, არგუთინსკი-დოლგორუკოვი, ენფიანჯიანცი და ქალაქის მდივანი სტ. ჰრელაშვილი. გაემგზავრენ ავჭალაში და ადგილობრივ გამოიძიეს საქმე. ამ კომისიის სხდომას ავჭალაში დაესწრო 34 გლეხი. ავჭალელთა მოთხოვნილება ორგვარი გამოდგა: ერთი კერძო ხასიათისა და მეორე ზოგადისა. განაცხადეს, მაგ., რომ ქალაქის მილის მოსამსახურენი ძალიან გვავიწროვებენო. გიგოლ ვარდანაშვილმა სთქვა, ზამთარში დავკარგე ერთად-ერთი ჩემი ცხენი. ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვნე. ბოლოს მილის მოსამსახურეებმა მითხრეს, შენი ცხენი ჩვენს საჯინიბოში მომკვდარა და გაათრიეო. იძულებული გავხდი, დროგი მექირავნა და გადამეთრია. როგორც გამოირკვა, ქალაქის მსახურთ დაეჭირათ ცხენი, დაემწყვდიათ და იქ შიმშილით მოეკლათო. მეორე ცხენი მოსდებია ქალაქის მიერ გაბმულ მავთულს და ისე დაშავებულა, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ მომკვდარა. ასეთივე ამბავი უამბეს კომისიას პ. ბიაშვილმა, ივანაშვილმა, ზაქარია ბიაშვილმა, წამალაშვილმა. ზ. ბიაშვილმა სთქვა, წყლის მეორე მილის გასამართავად დაჰყარეს ჩვენს ადგილებში მილები და ეხლა მიწის მუშაობას ვერ შევდგომივართო. გლეხობამ აღნიშნა თავისი მოთხოვნილებანი: 1. ავჭალის გლეხობაო,—სთქვეს წარმომადგენლებმა—იძულებული ხდება სამუშაოზე წავიდეს ტფილისში ან კიდევ სხვაგან შორს სადმე. ამავე დროს ქალაქს ავჭალაში მუდამ სამუშაო აქვს, რისთვისაც მუშებს იწვევს ერევნის გუბერნიისა და სხვა ადგილებიდან. ჩვენ-კი გვერდს გვიხვევს, თუმცა ჩვენ უფრო იაფადაც ვიკისრებდით საქმეს და ქალაქს არც სახლები დასჭირდებოდა მუშებისათვის და არც სხვა რამე ხარჯი. 2. ქალაქის წყლის მილის მოსამსახურენი ძალიან გვავიწროვებენ და ღელის პირში წყლის მილიდან წყალს არ გვაძლევენ. 3. ტყე არა გვაქვს, ამიტომ ფიჩხს და ხე-ტყეს მტკვარში ვიჭერთ, მაგრამ ქალაქის მოხელეები ნებას არ გვაძლევენ. 4. სოფელს საძოვარი არა აქვს. ქალაქის კუნძულზე-კი მშვენიერი ბალახი მოდის. მოსამსახურენი არ გვიშვებენ იქ, თუმცა ბალახს არავინ იყენებს. 5. ქალაქს ეკლიანი მავთულები აქვს ისეთ ადგილებში, სადაც არც შენობებია, არც ბაღი და არც სხვა რაიმე წასახდენი. ეს მავთულები ძალიან აშავებს ჩვენ საქონელსაო.

საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ კომისიამ, ბ-ნ ჰრელაშვილის წინადადებით, დაადგინა, 400 მან. მიეცეთ დაზარალებულთ. კომისიამ დაადგინა: დაავალოს ავჭალის წყლის მილის გამგეს ლისიციანს, მოელაპარაკოს ავჭალის მცხოვრებთ და გაიყვანოს იქიდან საჭირო მუშები, თუ ვინიცობაა, დაკლდა მუშა, მაშინ ქალაქს ნება ექმნება სხვა ადგილებიდან მოიყვანოს; აალებინოს მავთული; დაუთმოს ავჭალელებს საძოვარი ადგილი, ნება მიეცეთ ისარგებლონ მტკვრიდან ხე-ტყით და მიეცეთ გლადნის ხევიდან საკმაო წყალი. რაც შეეხება მილებისაგან ზარალს, ეს უნდა გამოარკვიოს ლისიციანმა და თავისი აზრი წარმოუდგინოს გამგეობას.

ახალი ამბავი

✦ ამას წინად „კავკაზ“-ი სწერდა, ტყუილია ის ამბავი, ვითომ **გურიაში რამდენიმე წლით დაკეტილი სამკითხველოები** გაიხსნაო. როგორც ძიმითიდან გვატყობინებენ, იქ უკვე გაუღიათ სამკითხველო. სამწუხაროდ, დიდის ხნის უპატრონობისაგან წიგნები სულ გაოხრებულა და ნახევრად თაგვებს შეუჭამიათ.

✦ **გორის მაზრის** უფროსმა აცნობა გუბერნატორს, რომ ამ ჟამად გორის მაზრის სოფლის კანცელარიებში საქმის წარმოება სულ არ არის, რადგან ზოგიერთ საზოგადოებაში გლეხები მუქარით აიძულებენ სოფლის მწერლებს და ჩაფრებს, თავი დაანებონ თავიანთ თანამდებობასაო.

✦ ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქიდან უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, **გაწვეულ იქმნა 400 აფიცერი.** ამათში ზოგი სათადარიგო აფიცერია. აფიცრები ხარბინში წავლენ.

✦ 14 მარტს ფოთში **სამ უცნობ კაცს მოუკლავს** ჟანდარმის უნტერ-აფიცერი ავსიუკევიჩი. მკვლელნი ეტლში ჩამსხდარან და დამალულან. ამ ავსიუკევიჩს წინადაც დასცემიან, მაგრამ ვერ მოუკლავთ.

✦ 15 მარტს, შუადღისას, ქუთაისში, როგორც გვატყობინებენ, ტფილისის ქუჩაზე **ოთხი კაცი თავს დაესხა** ქუთაისის სადგურის უფროსს ჟიდკოვს, რომელსაც ხაზინაში ფული მიჰქონდა. თავდამსხმელთ მოუტაციათ 2,338 მანეთი და 92 კაპ. და დამალულან.

✦ ბათუმშიაც მომხდარა ამგვარი ამბავი: **ოთხი შეიარაღებული კაცი დასცემია** ნობელის მეარტელეს, ივანოვს, წაურთმევია 900 მან. და დამალულა.

✦ 15 მარტს, როგორც შორაპნიდან გვატყობინებენ, **ჭიათურის შტოზე** აღდგენილ იქნა საქონლის მატარებლების მიმოსვლა.

✦ 15 მარტს, ამიერ-კავკასიის **რკინის გზიდან ჩინეთის გზაზე გაიგზავნა** ხუთი მემანქანის თანაშემწე.

✦ **ტფილისის ქალებს-სახლის-პატრონებს** ქაღალდი შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში. თხოულობენ, იშუამდგომლოს ქალაქმა, რომ ქალებს საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცეთ. დღეს, საქალაქო დებულების ძალით, ქალებს-სახლის-პატრონებს უფლება არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. შეუძლიანთ მხოლოდ რწმუნება გადასცენ თავიანთ ნათესავებს. ქალი სახლის-პატრონიკი ტფილისში ბევრია. 1,571 ამომრჩევლიდან 732 ხმა ქალებს ეკუთვნით.

✦ 1904 წელს დასავლეთ საქართველოში **შავი ქვის მადნებიდან ამოუღიათ** 20 მილიონ ფუთზე ცოტა მეტი ქვა. ჭიათურის გზით ფოთსა და ბათუმში წაუღიათ $33^{1}/_{2}$ მილიონი ფუთი, ხოლო ფოთიდან საზღვარგარედ გაუტანიათ $31^{1}/_{2}$ მილიონი ფუთი. მსოფლიო ბაზარში შავი ქვის ფასი არ ასცილებია 8,03 პენსს. მადნებში შარშან დაშავებულა 29 მუშა.

✦ 14 მარტს **ტფილისის მეპურეებმა დაადგინეს**, მოსპონ დუქან გარედ ვაჭრობა. მოსპონ აგრეთვე ღამე მუშაობა. მოსამსახურეების მოთხოვნილებით დაწესდა დღეში ცხრა საათის მუშაობა. ამიერიდან მუშაობა დაიწყება დილის ექვს საათიდან და გათავდება ნაშუადღევის სამ საათზე.

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა გუშინ აცნობა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ მისის შუამდგომლობის თანახმად, სიმონ ხუნდაძე დაინიშნა ტფილისის **საბაღოსნო სასწავლებლის უფროსის** თანამდებობის აღმასრულებლად.

წერილები ამერიკიდან

უკანასკნელი არჩევნები და პოლიტიკური პარტიები ამერიკაში. *)

რუზველტი პრეზიდენტად აარჩიეს, რესპუბლიკანურმა პარტიამ გაიმარჯვა, დემოკრატიული პარტია ამ ჟამად საშინლად დამარცხებული კუნჭულში მიიმალა. პარკერმა ტრადიციონული ზრდილობის კანონი შეასრულა: დაუყოვნებლივ დეპეშით რუზველტს მიულოცა. რუზველტმაც მას ზრდილობის ნიშნად მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტის სასახლეში მეორე დღესვე ქეიფი გაიმართა.

კიდევ ოთხის წლით რუზველტი გამეფდა, და ხალხმაც ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკანური პოლიტიკური მრწამსი აღიარა.

დამარცხდა დემოკრატიული პარტია, ასეთი სასტიკი დამარცხება ჯერ მას არ გამოუცდია. ისეთ შტატებშიაც-კი, სადაც დემოკრატებს დიდი იმედი ჰქონდათ, რუზველტმა პარკერზე გაცილებით მეტი ხმა მიიღო, ასე, [illegible], იმ ქალაქშიაც-კი, სადაც პარკერი [illegible], სადაც მისი სახლობა [illegible], იქაც რუზველტმა გაიმარჯვა. ეს კიდევ ცოტაა: ბევრგან სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც-კი დასძლია დემოკრატიული. ზოგიერთ შტატში დებსს ერგო ხმის უმეტესობა პარკერთან შედარებით. დამარცხდა პარკერი და ამ დამარცხებამ ნიადაგი გამოაცალა პარტიის კონსერვატიულ მხარეს, რომელსაც წინ უძღოდა პარკერი. რად წამოსწია დემოკრატიულმა პარტიამ წინ თავისი კონსერვატიული მხარე, რად არ გამოაცხადა რადიკალური პროგრამა? რადგან რადიკალური ფრთა პარტიისა ბრაიანის წინამძღოლობით წინა არჩევნებში ორჯერ დამარცხდა. პარკერის კანდიდატად გამოცხადება ცდა იყო დემოკრატიულ პარტიისა—ექნება კონსერვატიულის პირით გაემარჯვათ, მაგრამ ეს ცდა ისე დაბოლოვდა, რომ პარტიამ აღარ იცის რა ჰქნას. ეშინიან, [illegible] არ მოკასპოთ და ეხლა ახალ ბურჯებს ეძებს. ეხლა იმედის თვალი ისევ ბრაიანისაკენაა მიქცეული, იმისგან პარტია აღორძინებას მოელის. ბრაიანიც სარგებლობს ამ გარემოებით და ბრძოლის ასპარეზზე „ახალის“ პრინციპით აღჭურვილი გამოდის.—წინ, დემოკრატიული პარტიავ!—ამბობს იგი საჯაროდ.—ჩვენი მოვალეობაა მუშათა ინტერესები დავიცვათ, კაპიტალისტებს გავუმკლავდეთ. მუშათა კლასი, მართალია, ჩვენ პროგრამას ეწინააღმდეგება, მაგრამ ამან ჩვენ მოღვაწეობას ხელი არ უნდა შეუშალოს, მუშათა საკითხი მთელის ხალხის ბედ-იღბალს შეეხება, ხალხი დაინტერესებულია კაპიტალსა და შრომის შორის განხეთქილების მშვიდობიანად გადაწყვეტაში. მუშათა საკითხი ამიტომ მტკიცე კანონებზედ უნდა დამყარდეს. დავიხსოვნოთ ამ არჩევნებიდან გამოტანილი გაკვეთილი და თუ მომავალში გამარჯვება გვინდა, ხალხის მხარე დავიჭიროთ. რკინის გზების, ფოსტა-ტელეგრაფის სახელმწიფო საკუთრებაში [illegible] მონოპოლია, ტრესტები; [illegible] კუნძულების დამოუკიდებლობა. [illegible] სახალხო კანონ-მდებლობა!—აი ჩვენი პროგრამის პრინციპებიო.

პარკერმაც დამარცხების მეორე დღესვე მიმართა მოწოდებით მთელ ეროვნულ დემოკრატიას შემდეგის სიტყვებით: „მართალია ამას შემდეგ საზოგადო თანამდებობას აღარ ვიკისრებ, მაგრამ ისე კი მუდამ დაუღალავი მოსამსახურე ვიქნები დემოკრატიულ პარტიისა, რომელსაც ეხლა დიდი მისია აქვს შესასრულებელი. ხალხი მალე დაინახავს, რომ რესპუბლიკანურ მთავრობისაგან წაქეზებული ტრესტები მას სისხლს ამოსწოვენ. მოვა დრო, ხალხი ნამდვილად დემოკრატიას შეუერთდება, და მაშინ პარტიული ორგანიზაცია მზად უნდა იყოს შეასრულოს ყველაფერი, რასაც იმისგან ხალხი მოითხოვსო“.

მაგრამ დემოკრატიული პარტია გრძნობს, რომ სუსტ ნიადაგზე სდგას. იგი ჰხედავს პირდაპირ წითელ დროშას და მისს მატარებელ სოციალისტურ პარტიას, რომელიც ხალხს უბნებს, არ ენდოთ დემოკრატებს, ისინი კაპიტალიზმის თაყვანის მცემლები არიანო. დემოკრატიული პარტია ხედავს სოციალიზმის ზრდას და თავისი მომავალი თვითონ აღარა სწამს. იგი ახალ ნიადაგს ეძებს, სხვა და სხვა დემოკრატიულ ელემენტებს აერთებს, ახალ ორგანიზაციის შექმნას სცდილობს. ბრაიანი, შესანიშნავი ორატორი, სახელოვანი მჭევრმეტყველი, უკავშირდება პოპულისტების პარტიას, მას დემოკრატიულ დროშის ქვეშ იწვევს. იქნება შეერთებულის ძალით მაინც დავამარცხოთ რესპუბლიკანური პარტიაო. ძირს მონოპოლიაო, ამბობს ბრაიანი.

მერე რა ვუყოთ ამ მონოპოლიებს, მოსპობა მათი ხომ შეუძლებელია ჩვენდელ პირობებში? მიმოსვლის საშუალებები, რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადავიდესო: მერე სახელმწიფო მონოპოლია იგივე მონოპოლია არ არის, რომელსაც ბრაიანი ებრძვის საზოგადო სიტყვებით? მოისპოს ყოველგვარი მონოპოლია, გამეფდეს საზოგადო საკუთრება—ეს უნდა ეთქვა ბრაიანს, მაგრამ ამის თქმა სოციალისტად გადაქცევას ნიშნავს და ეს ხომ ბრაიანისათვის შეუძლებელია.

„ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით დემოკრატების დამარცხებასაო,—ამბობს სოციალისტური პარტია.—მათში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც ნამდვილ რევოლუციონურ პარტიისათვის კარგ მასალას შეადგენენ, ისინი დღეს განთავისუფლდნენ და ახლა ჩვენსკენ გადმოვლენ. ამ იმედს წინ აღობება ახლად შემდგარი ტრიუმვირატი ბრაიანისა, ჰერსტის *) და ვატსონის **) დემოკრატიულ პარტიის გასაძლიერებლად ახალ პროგრამის შესამუშავებლადაო. ჩვენ არ გვმალავთ ამ შიშს; რადგან კარგად ვიცით ამერიკელების სისუსტე: მათ ადვილად იტაცებს ყოველი აზრი, რაც უნდა ცრუ საძირკველზე იყოს იგი აგებული, ოღონდ მალე განხორციელების იმედს კი იძლეოდეს. ასეთი აზრი უფრო იზიდავს იმათ, ვიდრე სისტემატიური პროგრამაო“.

სოციალისტური პარტიაც დღესასწაულობს თავის გამარჯვებას. დავხედოთ შემდეგ ციფრებს და გავიცნოთ სოციალიზმის ზრდა შეერთებულ შტატებში ამ ოთხის წლის განმავლობაში, ე. ი. 1900 წლიდან (წარსულ პრეზიდენტის არჩევნები) აქამომდე.

სოციალისტურ კანდიდატს მიუღია

შტატები:	1900 წ. ხმები	1904 წ. ხმები
ჩიკაგო . . .	10000-ზე ნაკლები	75000
კალიფორნია.	7500	35000
ინდიანა . . .	2300	30000
იოვა	2700	240[illegible]
მინისოტა .	3000	
Ohio(ოჰიო)	5000-ზე ნაკლები	
ნიუ-იორკი .	12869	40000-ზე მეტი
ვისკონსინი .	7000	350000
პენსილვანია .	4800	25000

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ სოციალიზმის წინმსვლელობას საზოგადოდ; თუმცა ზოგიერთ ადგილებში აღმოსავლეთისაკენ სოციალისტებს ბევრი ხმა დაეკარგათ, სამაგიეროდ დასავლეთის შტატებში შესანიშნავის სისწრაფით იზრდება იმათ მომხრეთა რიცხვი. ეს მოვლენა მით უფრო აკვირვებს სოციალისტებს, რომ ისინი აღმოსავლეთის შტატებიდან უფრო მოელოდნენ, რადგან იქ სოციალიზმმა უფრო ადრე დაიწყო განვითარება. ამის მიზეზი [illegible] ვერ გამოურკვევიათ. საერთო რიცხვი [illegible] დებსის მიერ მიღებული ხმებისა დიდხანს [illegible] გამოურკვეველი იყო. კარგა ხანს 600,000-ზე [illegible] გაზრებული, მაგრამ უკანასკნელ ცნობებიდან აღმოჩნდა [illegible]00,000. რა არის [illegible]00,000 ხმა [illegible] მილიონთან შედარე[illegible] ნახევარი მილიონი [illegible] რიცხვთან შედარ[illegible] ნუ თუ სოციალ-დემოკრატ[illegible] სწაულობს ნახევარ მილ[illegible] ქმე ის გახდავთ [illegible] მხრივ უკან [illegible] ზემოდ [illegible] ეკონომიუ[illegible] იყო და[illegible] ზის [illegible] თქვე[illegible] სშ[illegible] რაკებითაც გათავდებოდა საქმე. წინა წერილშიაც ვამბობდით, მთავრობამ წინად შეიპყრო დებსი გაფიცვაში მეთაურობისათვის, ექვს თვეს საპყრობილეში დაამწყვდია, იქ დღიურ მძიმე შრომიდან განთავისუფლებულს შემთხვევა მისცა თავისს და საზოგადოდ მუშის მდგომარეობას დაფიქრებოდა, მუშათა [illegible] საკითხის მწერლობას გასცნობოდა. „ტრედ-იუნიონისტი ვიყავი, როცა საპყრობილეში შევედ, სოციალისტი ვარ, როცა იქიდან გამოვედიო“, ამბობს [illegible]

500,000 ხმა სოციალ[illegible] წარმატებად მი[illegible] დასის საპ[illegible] 131,921[illegible] წლ[illegible]

[illegible] მანე- [illegible] ალებამდე

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2760

*) ესეც დემოკრატია, განსხვა[illegible] ლება აქვს, თავისი მიმდევრები [illegible] ზეთს სცემს, რომელიც დღეში [illegible] ამ გაზეთში ის მუშა[illegible] ხოლმე და ხან[illegible]

**) პოპულ[illegible]

◆ 16 მარტს ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორად გენერალი სმაგინი.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ექიმებმა, 7 კაცმა, გუშინ საერთო განცხადება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს ფეხის ქირის მომატება.

◆ მოგვყავს აქვე ზოგიერთი ცნობა ტფილისის დურგალთა არტელის 1904 წლის ანგარიშიდან. არტელს სულ შემოსვლია 9359 მან. 35 კაპ. აქედან ქარხნისა და მაღაზიის დასაქირავებლად დახარჯულა 1080 მან., მომუშავეთა ჯამაგირებზე, 3864 მან. მასალის შეძენაზე 2453 მან. 4 კაპ. და სხვა. სულ—9554 მან. 40 კაპ. ასე რომ წარსულ წელს არტელს უზარალნია 225 მან. 45 კაპ. მაღაზიაში დამზადებული ავეჯი არტელს ჰქონდა 1732 მანეთისა, მართებიათ სხვა-და-სხვა პირთ 698 მან., ამხანაგობას მართებს 1538 მან. საანგარიშო წელს მთელი წარმოება არტელისა გამოიხატა 12.649 მან. 63 კა.

◆ გუშინ, 16 მარტს დაასაფლავეს უეცრივ გარდაცვალებული ი. გ. თულაშვილი. გამოსვენებას დაესწრნენ გუბერნიის მარშლის მოადგილე თ-დი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ქალაქის მოურავი ხ. ა. ვერმიშევი, გამგეობა სათავად-აზნაურო და სამეურნეო ბანკებისა და სხვანი. მიცვალებულის კუბო შეამკეს გვირგვინებით ქალაქმა ტფილისმა, სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულომ, საადგილ-მამულო და სამეურნეო ბანკებმა და სხვებმა.

◆ ჩხარიდან გვატყობინებენ, რომ 21 თებერვალს, როდესაც ცეცხლმა გაანადგურა მთელი უბანი ჩხარში, სომხების გარდა გადამწვარა თურმე ოთხი მოსახლე ქართველიც. ას ოჯახზე მეტი სული და მათ შორის ამ ქართველ დაზარალებულთა ოჯახებიც უსახლკაროდ არიან თურმე დარჩენილნი.

◆ 14 მარტს სამტრედიაში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, ხუთი შეიარაღებული კაცი შევარდნილა კალანდაძის სახლში, წარუთმევია ორი სახაზინო რევოლვერი და დამალულა.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ მეჯვრისხევში სკოლას ცეცხლი გაუჩნდაო. როგორც მეჯვრისხევიდან გვატყობინებენ, სკოლას არავითარი ცეცხლი არ გასჩენია და იგი ისევე უვნებელია, როგორც წინად იყო.

◆ სად. უდუხანლუ. 14 მარტს საღამოთი სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მემანქანის თანაშემწეს მაკსიმოვს, კაჩეკარს პეტროვს და სხვებს და ყველას წართვა ფული. ამ ამბავმა შეაშინა ჯულფის გზაზე მომუშავენი. ყველანი საქმეს თავს ანებებენ.

◆ სადგ. უჯარა. 14 მარტს, საღამოს 10 საათზე, მატარებელის № 156 მანევრების დროს, სამი ნავთის ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა. გზა შეკეთდა 15 მარტს დილით.

◆ სადგ. მიხაილოვო. 14 მარტს, მე-187 ვერსტზე, როდესაც მატარებელი № 152 მიდიოდა, საქონლის ვაგონის თავიდან ვიღაცამ ქვა გაისროლა, რომლისაგანაც დაშავდა ღამის ყარაული სერგეი ოსაძე. დაშავებული ტფილისის ლაზარეთში წაიყვანეს.

◆ სად. დუვანი. 15 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-735 ვერსტზე, საქონლის მატარებლის ორი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. ლიანდაგი მცირედ დაზიანდა 70 საჟენის მანძილზე. უბედურება კაცის თავს არ მომხდარა.

◆ სად. ბოსლევი. 15 მარტს მე-11 ვერსტზე მატარებელი № 348 წააწყდა ვაგონეტს. ამ [illegible] დაშავებულა ი. სანაძე, მატეხია ფეხი. და[illegible] სპირიდონ ჩანტაძეც. ორივენი [illegible]ზავნეს.

[illegible] 3-მარტს მე-332 ვერსტზე, [illegible] თავს დაეცა ღამის ყარაულს და უფროს მუშას ბაგრატ ჩოჩიას და სამჯერ ესროლა. არავინ დაშავებულა.

◆ ქალაქის ინჟინერმა კოგნოვიცკიმ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ გოლოვინის პროსპექტსა და ვერის დაღმართზე 12 მარტს რაღაცა მიზეზის გამო ელექტრონის ვაგონების მიმოსვლა შესწყდა და ხელ-ახლა დაიწყო 3—4 საათის შემდეგაო. კოგნოვიცკი წინადადებას აძლევს გამგეობას მოსთხოვოს უსახელო საზოგადოებას ცნობები: რა გაუჭირდა საზოგადოებას 12 მარტს, რა ღონისძიება იხმარა მიმოსვლის განსაახლებლად, რა მიზეზია, რომ დიდხანს შესწყვიტეს ვაგონებმა მიმოსვლა, რა საფუძველი აქვს საზოგადოებას, რომ მომავალში ასეთი ამბავი აღარ განმეორდება და ვაგონების წესიერი მიმოსვლა უზრუნველყოფილ იქნება, რა მიზეზია, რომ ვერის დაღმართზედ მხოლოდ ერთს ვაგონს შეუძლიან ავლა ერთს დროს, თუ ვერის დაღმართისათვის ელექტრონის ძალა საზოგადოებას არ ჰყოფნისო და სხვ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ამაღლების ქუჩის მცხოვრებთა საერთო განცხადება, რომ ქალაქის ამ კუთხისაკენაც გაყვანილ იქნეს რკინის გზა. გამგეობამ დაადგინა აცნობოს მცხოვრებთ, რომ უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობით საზოგადოებამ ქალაქის ამ კუთხეშიაც უნდა გაიყვანოს რკინის გზა მხოლოდ არა ადრე 1906 წლის 2 აგვისტოსა.

◆ ხარფუხის სკოლისათვის საკუთარ შენობის აგება იჯარით მისცა ქალაქმა ვასილ ჯაგონოვს 15.723 მანეთში.

◆ ქალაქის გამგეობამ 14 მარტს დაამტკიცა პროექტი არამიანცის სახელობის სამკურნალო პავილიონისა და მისი აშენება მიანდო შარვარევს 42.670 მან.

◆ თამამშევის ქარვასლის ვაჭრები თავიანთ პირველ კრებაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა მოხდეს, იმ ოთხ საკითხიდან, რომელიც გუშინ გვქონდა მოხსენებული, განიხილავს მხოლოდ ორ საკითხს, სახელდობრ 1. ქარვასლურ ძველ ადათების გადაგდებას: მუშტრის დაძახებას და სხვა, და 2. გადაჭრილ ფასების დადებას ყველა საქონელზე.

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 299.**

როგორ დახურეს ჩემი გაზეთი

(წერილი გ. პალმისა „ნ. ვ.“-ში)

გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემ წერილს. რუსულ პრესის ისტორიაში უმაგალითო ფაქტი ძალმომრეობისა მთელმა ქვეყანამ უნდა შეიტყოს. ეს ძალმომრეობა თავის დროზე შევატყობინე ორივე ჩვენ სატელეგრაფო სააგენტოებს, მაგრამ უბიწო პენელოპა-ცენზურამ დაიჭირა ჩემი დეპეშები, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ პროვინციალურ გაზეთის რედაქტორს ნება არ უნდა ჰქონდეს პროტესტის გამოცხადებისა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ბათუმში ცხრა წელიწად ნახევარია ვსცემდი რუსულ გაზეთს „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ს, ერთად-ერთს მთელ დასავლეთ კავკასიისათვის. 24 იანვარს დაიწყო ასოთ-ამწყობების გაფიცვა... მოვრიგდით და 31 იანვარს ასოთ-ამწყობებს მუშაობა უნდა დაეწყოთ. მაგრამ არც 1 და არც 2 თებერვალს არ მოვიდნენ. თან სტამბას ულტიმატუმი მოუვიდა—არამც და არამც არ დაბეჭდოთ არც გაზეთი და არც დეპეშებიო. სტამბის პატრონმა პროტესტიც არ განაცხადა, ისე დამორჩილდა „ბათუმის კომიტეტ“-ის ულტიმატუმს. გაზეთის კანტორის გარებზე გააკრეს ქაღალდი წარწერით—„ძირს თვითმპყრობელობის მომხრე“-ო. მეორე დღეს რედაქციის ბინას უნდა დასცემოდნენ, მაგრამ დროზედ შეუტყეს და ვერ მოხდა. პირადათ მე მუქრის რამდენიმე წერილი მომივიდა „ბათუმის კომიტეტის“ ხელმოწერილი. შევსთანხმდი მეორე სტამბასთან, მაგრამ იქაც მოვიდა მუქარა—არ დაბეჭდოთო; დაწყებული მუშაობა შეაწყვეტია სამმა შეიარაღებულმა კაცმა. ერთი ეს შეიარაღებული კაცი შეხვდა სტამბის ახლო მეტრანპაჟს, მიჰმართა სიტყვით, რამაც ხალხი შეაგროვა: „მზგავს მმართველობის“ გაზეთი არ უნდა არსებობდესო, თუ ადგილს დაჰკარგავთ, ჩვენ გიზღავთ ზარალსო“. შედეგი ის იყო, რომ გაზეთს არც სტამბა ჰქონდა, არც ასოთ-ამწყობები ჰყავდა. ყველგან საჯაროდ ლაპარაკობდნენ ქალაქში, რომ კომიტეტი ნებას არ დართავს „ჩერნ. ვესტ.“-ი ჩემის რედაქტორობით გამოვიდესო.

ორის კვირის განმავლობაში ველოდი, რომ დაიფარავდნენ გაზეთს ასეთ გაუგონარ, უმაგალითო ძალმომრეობისაგან. მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ვიყავ და შევიქენი უუფლებო მსხვერპლი ძალმომრეობისა. მართალია, მე მივიღე... კეთილი რჩევა: რუსეთიდან გამოიწერეთ ასოთ-ამწყობები, ერთი ბინა მიუჩინეთ და ჯარი მიუყენეთ სადარაჯოდო, მაგრამ თავის ნებით ტუსაღად ყოფნის მსურველნი არ არიან და მეც არ მისარგებლნია ამ კეთილის რჩევით.

თითქმის ათი წელიწადი ვეწეოდი განუწყვეტლივ მძიმე შრომას, ბევრი ღამე გამითენებია, ბევრი ძალა, ჯანმრთელობა და ფული დავხარჯე და ბოლოს იარაღი უნდა დამეყარა უსწორო ბრძოლაში. „ბათუმის კომიტეტმა“, რომელიც თავისუფლად განაგებს რუსეთის ციხე-ქალაქის მცხოვრებთა სიცოცხლეს, ქონებას და უფლებებს, ბათუმის გაზეთის ბედიც გადასწყვიტა თავისუფალ სიტყვის მტერთა გასახარებლად.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

16 მარტი.

პეტერბურგი, 15 მარტი. არ მიგვიღია ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდან.

ჰამბურგი. აქ ძალიან უკვირთ ორ ჰამბურგელ გემის დაზღვევა სამხედრო გაბედულებისაგან; ეს პირველია იმ ექვს გემთაგან, რომელთაც დანიშნულებაა ორი თვის განმავლობაში ეხლოს, როგორც მენახშირე, გერმანიის (?) ესკადრას ჩინეთის წყლებში. საყურადღებო ისაა, რომ გემის პატრონები ჩვეულებრივზე მეტს ფასს აძლევენ დასაზღვევათ, რაც ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რამე საშიში და სახიფათო უნდა მიახთეს. ეს გემები ორივე შორეულ აღმოსავლეთში არიან უკვე, მათ მიიტანეს ნახშირი ვლადივოსტოკს, გაიარეს რა მშვიდობიანათ იაპონელთ ბანაკებს შორის და ჩინეთის ნავთსადგურში მოვიდნენ.

ლონდონი, 15 მარტი. თანახმად იაპონიის სესხის გამოქვეყნებულ განაღდების პირობებისა 100 გირვ. სტერლინგზე ნაკლებ ფასიან ობლიგაციებს არ გამოუშვებენ; ეს იმას ნიშნავს, რომ სესხი მხოლოდ კაპიტალისტებს შეუძლიანთ გაიღონ.

ტოკიო. ჰფიქრობენ, ნიდერლანდებისა, ბელგიისა და გერმანიის ფინანსისტებს განზრახვა აქვთ ხელი მოაწერონ იაპონიის სესხის 50 ათას გირ. სტერლინგს. გაზეთები ქებით იხსენიებენ იაპონიის მთავრობას და დიპლომატიას, რადგანაც მათ მოახერეს სესხის გამოშვება. „კოკუმინ“-ი ულოცავს მთავრობას ფინანსის საქმის წარმატებას და ამბობს, ეს საუკეთესო იარაღია რუსეთისაგან ომის გაგრძელების წინააღმდეგო.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტ ხარკევიჩის დეპეშა მთავარ-შტაბს, 1906 წ. 16 მარტის თარიღით: „ჯარში ცვლილება არ მომხდარა. 13 მარტს ხანშილინთან ჩვენმა მოხალისეებმა სროლა აუტეხეს იაპონელთ ერთ როტას ქვეითებისას და ერთ ესკადრონს. გუშინ მთავარ-სარდალმა დაათვალიერა მეორე არმია. ჯარები ჯან-საღად არიან.

პარიზი. დაასაფლავეს ჟიულ ვერნი. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო; სამხედრო პატივით მოეპყრნენ მას.

ლოძი. უცნობმა ბოროტ-გამზრახველებმა ოთხჯერ ესროლეს უბნის ზედამხედველ კირილიუკს. კირილიუკი ვერ დასჭრეს.

ტომსკი. ციმბირის გზის მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, 7 მარტიდან შეწყვეტილია სამატარებლო სისწრაფით გასაგზავნ ტვირთის მიღება გზის ყველა სადგურზე ჩელიაბინსკის აღმოსავლეთით.

სტამბოლი, 15 მარტი. კრიტოსის მოძრაობას ალბად ჩქარა სისხლ-დაუღვრელად ჩააწყნარებენ.

გონკონგი. მოვიდა პრინცი ფრიდრიხ-ლეოპოლდი.

ბერლინი. ხმებია, ვილჰელმი, ხმელთა შუა ზღვაში მოგზაურობის დროს, ორფაში საბერძნეთის სამეფო ოჯახს შეხვდებაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 მარტი

ლონდონი, 15 მარტი. დღეს გამოაშკარავდა იაპონიის ახალ სესხის პროექტი. მისიონურ ბანკებთან აუარებელი ეს ხალხი ირევა.

ლონდონი, 16 მარტი. რუსეთის საფინანსო აგენტი რუტკოვსკი წერილით კატეგორიულათ აცხადებს „სტანდარტ“-ში, რომ ბრიტანიის ნაციონალური ვალიო, შემოსავალთან პროპორციონალურათ აღებული, ყოველ წლივ მეტს გასავალს ითხოვს, ვინემ რუსეთის ვალიო. ეს წერილი გამოიწვია საკითხმა რუსეთში ფინანსების შემოკლების შესახებ. უწყალო დევნა რუსეთის ფინანსებისა, რუტკოვსკის აზრით პოლიტიკურ მოსაზრებას უნდა მიეწეროს; მე დარწმუნებული ვარო, ამბობს რუტკოვსკი, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი არ ეთანხმება ამგვარ ხერხებსო.

სიტიაზი, 16 მარტი. დილის 8 ს. 45 წ. ხმებია, რომ იაპონელებს უკანასკნელ 7 დღის განმავლობაში არ გამოულაშქრნიათ. იაპონელების უმთავრესი ჯარები ტელინში დგანან, მოწინავენი კი კაიუანში.

ნიუ-ჩუანე, (რეიტერი). დღეს იაპონელებმა ნავიგაცია გახსნეს ლიაოხეზე. 22 გემი ნავთ-სადგურში შევიდა. ბევრი სურსათი გადატვირთეს ჯონკებზე და გაგზავნეს ზევით წყალ-წყალ.

პეკინი. დაახურვინეს გაზეთი „შანხაი“, რომელიც ევროპისა და რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა. რედაქტორი იაპონიაში გაიქცა.

ლონდონი. გრაფმა პერსიმ სთქვა დეპუტატთა პალატაში; ის კორესპონდენცია, რომელიც რუსეთმა და ინგლისმა გაუგზავნეს ერთი მეორეს სამხედრო კონტრაბანდის შესახებ, შეეხება ბრიტანიისაგან წარდგენილ მოთხოვნებს მხოლოდ. არ გვაქვს საფუძველი დავემდუროთ რუსეთის საზღვაო მართებლობას მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ დამატებითი ინსტრუქციები გამოსცაო.

ბერლინი. აქ მუშათა სახლში მთის მუშების დელეგატების სიეზდი გაიხსნა.

პეტერბურგი. საზღვაო სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარე ვიცე-ადმირალი დუბასოვი დაინიშნა გენ.-ადიუტანტათ და იმავე თანამდებობაზე დარჩა. სახალხო განათლების მინისტრი აცხადებს, 13-დან 17 აპრილამდე რომში შესდგება საერთაშორისო მეხუთე პსიხოლოგიური კონგრესიო.

პეტერბურგი, 16 მარტი. ოფიციალური. უმაღლესი რესკრიპტი ვარშავის გენერალ-გუბერნატორ გენ.-ადიუტანტ მაქსიმოვიჩის სახელზე: „კონსტანტინე კლავდიის ძევ! ცხოვრების ბუნებრივმა მიმდინარეობამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში ბევრი საყურადღებო საკითხი წამოაყენა ვისლის პირის მხარეში, ბევრი ადგილობრივი მოთხოვნილებანი დაიბადა მას შემდეგ, რაც იქ ძარითადი განახლება მოხდა მოქალაქეობრივ ყოფა-ცხოვრებაში. ამ მოთხოვნილებებზე უნდა იზრუნოს ამ ჟამად მთავრობამ. საუბედუროდ, წესიერების მტრები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ აშალონ პოლონეთის მშვიდ მკვიდრთა წრე და მით გვირთულებენ მომწიფებულ საჭიროებათა მშვიდობიანათ განხილვას. მათთან ერთად პოლონეთის საზოგადოების ზოგი წრეები მოუფიქრებლათ და უგნურად იქცევიან: ისინი მეტის მეტ წინააღმდეგობას აცხადებენ სახელმწიფო ენის შესახებ, რომელსაც სხვა-და-სხვა ტომთან რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეებში შესაფერისი მაღალი ადგილი უნდა ეჭიროს ისე კი, რომ ადგილობრივი ენები არ შეავიწროვოს უსამართლოდ. მოგანდეთ რა, თანხმათ ჩემივე ბრძანებისა, პოლონეთის გუბერნიების საქმეების ხელმძღვანელობა, საკეთილოთ ვცნობ, რათა თქვენ, არეულობის კანონიერათა და მტკიცეთ ჩაქრობასთან ერთად, შეიმუშაოთ ის რეფორმები, რომელნიც საჭირო იქნებიან იმ კუთხის წარმატებისთვის, რომელიც სამუდამოთ გულით მიყვარდა, რათა ეს კუთხე მჭიდროთ იქნას შეკავშირებული რუსეთის დანარჩენ ნაწილებთან. დავშთები მუდამ თქვენი მწყალობელი. ნამდვილზე ხელ მოწერილია მის იმპერატორებით უდიდებულესობისაგან; „ნიკოლოზ“. ცარსკოე სელო 1905 წ. 14 მარტი.

პეტერბურგი, 16 მარტი. გაძლიერებულ დაცვის დებულება გამოცხადდა, სანამ, თანახმად 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებისა, გადახედულ იქმნებოდნენ განსაკუთრებითი კანონდებულებანი, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1906 ს. 16 იანვრისა, ქალაქებ ვარშავას, ლოძს, გუბერნიებ ვარშავისა და პეტროკოვისაში.—ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ტრუტოვსკი დაინიშნა ჩერეპოვეცის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლად.—14 მარტს წარუდგა ხელმწიფე იმპერატორს ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი.—სამარის საოლქო სასამართლოს წევრი ალეხინი, დაინიშნა სარატოვის სასამართლო პალატის წევრად.

რომი. კაბინეტი შემდეგ პირებისაგან შესდგება: ფორტისი მინისტრ-პრეზიდენტია და შინაგან საქმეთა მინისტრი, ტიტტონი—გარეშე საქმეთა, ფინოკიარო აპრილე—იუსტიციისა, ანჯელო მაიორანა—ფინანსებისა, კარკანო—ხაზინისა, ნედოტტი—სამხედრო, მირაბელლო—საზღვაო, ლეონარდო ბიანკი—განათლებისა, კარლო ფერრარი—საზოგადო საქმეთა, რავა, მიწათ მოქმედების და მორიელო გალტერატი—საფოსტა-ტელეგრაფო. ხვალ მინისტრები ფიცს მისცემენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ლიბერალ გალტონმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც იგი ჰკიცხავს ბალფურის პოლიტიკას ხადამოყენო გადასახადის შესახებ. მთავრობის პარტიას თითქმის არ მიუღია მონაწილეობა განხილვაში. რეზოლიუცია ერთხმათ მიიღეს და ტაშით მიეგება ოპოზიციის პარტია მას.

რუანი, 16 მარტი. სოციალისტთა სიეზდმა ერთხმად მიიღო წინადადება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიათა შეერთების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

[illegible]ანი

✦ კბილებს ✦

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველიძე, მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—18)

[illegible]ინკოგრაფია

[illegible]ომც. [illegible]ელთა ამხანაგობისა

[illegible] ქ., [illegible] ტელეფ. 372.

[illegible]თება [illegible]ძლება ფოტო-

[illegible]ნ და ხელით ნახატე-

[illegible]ილი

[illegible]ანა

[illegible], სოგ-

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდლიკები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქო[illegible]ი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, [illegible]

სავაჭრო სახლის [illegible]

[illegible]ეოპოლდ ნეიშე[illegible]რ-ის საწყობში.

[illegible]ელეფონი № 346. [illegible] მოედანი. (60—6.—1[illegible]

(60—[illegible]

Электропеч. груз. изд. т—в[illegible] სტამბა წიგ. გამომ. ამხ—[illegible]